ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

- 12(VI)

ჩილდირის ვილაიეთის მოკლე /იჯმალ/ დავთარი

თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით,
შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით
გამოსაცემად მოამზადეს **მირიან მახარაძემ** და
ნოდარ შენგელიამ

თბილისი
2008

შინაარსი

შესავალი 3

ქართული თარგმანი 39

შენიშვნები 143

რეზიუმე ინგლისურ ენაბზე 166

დადგენილი ოსმალური ტექსტი 168

დედანი 289

რედაქტორი პროფესორი **ზაზა შაშიკაძე**

რეცენზენტი პროფესორი **დავით კაციტაძე**

გამომცემლობის რედაქტორი: მარგო ინასარიძე

კორექტორი: თეა ჯანაშია

კომპიუტერული გრაფიკა: ირაკლი სვანიძე

ტექსტის აწყობა: ზვიად ნოზაძე

ყდაზე გამოყენებული სურათები: ჩრდილის (ჩილდირის) ტბა;
სალოცავის ნანგრევები ჩრდილის (ჩილდირის) ტბაზე
ფოტო – ბუბა კუდავა (2003)

პროექტი დაფინანსებულია საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ

გამომცემლობა პროსი XXI
ISBN 978-9941-407-03-1

შესავალი[1]

თურქეთში სამეცნიერო მივლინების დროს მრავალ ოსმალურ დავთართა შორის ჩვენს ხელთ აღმოჩნდა ჩილდირის ვილაიეთის მოკლე დავთარი. ქვემოთ შევეცდებით განვიხილოთ იგი. უპირველეს ყოვლისა დავთრის თარიღის შესახებ. დავთრის თითქმის ყოველ გვერდზეა მითითებული სხვადასხვა თარიღი. ყველაზე ადრინდელი თარიღია 998 წელი, ხოლო ყველაზე გვიანდელი – 1031 წელი. რადგანაც დავთარს უზის ყველაზე ადრინდელი თარიღი 998 წელი, ჩვენც იგი მივიჩნიეთ დავთრის შედგენის თარიღად. რაც ემთხვევა ჩვენი წელთაღრიცხვის 1589-1590 წელს. სწორედ ეს თარიღი მიგვაჩნია დავთრის შედგენის თარიღად. დავთარში არაერთი მინაწერია, რომელთა თარიღები მერყეობს 1590 წლიდან 1622 წლამდე.

დავთრის ზომებია: ყდა – 50X18 სმ, ყუა – 3 სმ, სიგრძე – 48X17 სმ. ტექსტი ნაწერია სიაკათის ხელით. შავი მელნით, ძალიან ბევრი მინაწერია, დავთარი მოიცავს 149 გვერდს. მისი შიფრია: 653.

დავთრის მიხედვით ჩილდირის ვილაიეთი შედგება შემდეგი ლივებისაგან: 1. ახალციხის, 2. ალთუნ ყალას, 3. ოცხეს, 4. ჭაჭარაქის, 5. ასპინძის, 6. ხერთვისის და 7. ახალქალაქის. 1595 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ კი გაცილებით მეტი რაიონია წარმოდგენილი. აქ ნახევარიც არაა ნაჩვენები, ჩილდირი კი ლივადაა წარმოდგენილი. ასევე ლივებადაა წარმოდგენილი მასში შემავალი პროვინციები: ახალციხე, ალთუნ ყალა, ოცხე და სხვა

[1] აღნიშნული წერილი დაიბეჭდა „ქართული დიპლომატიის“ მე-9 ტომში სათაურით „1592 წლის ჩილდირის ვილაიეთის მოკლე /იჯმალ/ დავთარი“. 2002, თბ., გვ. 298-333. იგი შედგენილია 1590 წლისთვის და არა 1592 წლისთვის. ჯერ კიდევ 1979 წელს ქართველმა თურქოლოგებმა, ც. აბულაძემ და მ. სვანიძემ გამოაქვეყნეს ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი. იხ. ჩილდირის ვილაეთის ჯაბა დავთარი (1694-1732). თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ცისანა აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ. თბილისი 1979. გვ. 5-326. ასევე გამოქვეყნდა ნოდარ შენგელიას ნაშრომი არზრუმის ლივის იჯმალ დავთრის ქართული თარგმანი. იხ. XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. წ. I. თბილისი 1987. გვ. 157-164. 723-753.

დასახლებული პუნქტები. ამიტომ ჩვენ მივიჩნიეთ, რომ ჩილდირი უთუოდ ვილაიეთია, ამიტომ დავწერეთ იგი ვილაიეთად. ალბათ ჩილდირის ვილაიეთში შედიოდა ზემოთ დასახელებული ლივები.

დავთრის მეორე და მესამე გვერდებზე წარმოდგენილია ორი დოკუმენტი, რომლებიც გაგზავნილია ჩილდირის ბეგლარბეგებისადმი.

აი ამ ორი დიდი საბუთის შინაარსის გადმოცემის შემდეგ დავთარში მოტანილია თულრა, რომელიც ალბათ სულთან მურად III-ს ეკუთვნის. თულრას ბეჭედი არ ახლავს. იგი შემდეგნაირად იკითხება: „სულთან მურად ხანი სელიმ ხანის ძე, მუდამ გამარჯვებული“: მე-14 გვერდიდან იწყება ახალციხის ლივის ამბების გადმოცემა. რადგანაც ხსენებული დავთარი არის მოკლე /იჯმალი/, ამიტომ მასში არაა შესული მოსახლეობის დაწვრილებითი აღწერა, არც ოსმალური გადასახადებია დაწვრილებით ჩამოთვლილი.

ახალციხის ლივაზე ამბების გადმოცემისას საუბარია სიფაჰიების შემოსავლებზე, ზაიმებზე, თიმარებზე, მუსტაფაზებისა და აზაბების შესახებ ხსენებული ვილაიეთის ციხესიმაგრეებში, რომლის წლიურ შემოსავალზე გადასახადია 10000 ახჩა.

აქვეა საუბარი სიფაჰიებისა და სიფაჰი-ზადეების შესახებ, რომელთა შემოსავალია 1500 ახჩა.

ასევე შეწერილია ბეითალმალის გადასახადი, რომლის რაოდენობაა 2000 ახჩა. ფრინველზე გადასახადი კი წელიწადში 500 ახჩაა.

ნახსენებია გადასახადი დიდებული სარდლის ვეზირ ფერჰად ფაშას სასარგებლოდ.

შემდეგ საუბარია ასპინძის ლივაზე, რომელსაც ექვემდებარება სოფელი ზემო დარდილი, მისი შემოსავალია 4700 ახჩა და სხვა სოფლები.

დავთარი მოგვითხრობს ახალქალაქის ლივაზე. ნახსენებია სოფელი ქავდანი, რომელიც ექვემდებარება აკშეჰირს. იგი კუბადის ხელში 14000 ახჩას იძლეოდა და ზიამეთის სახით მეჰმედს ებოძა. შემდეგ ეს ზიამეთი ბევრჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. აქვეა მინაწერი უფრო გვიანდელი ხანისა, შემოსავლის საერთო ჯამია 48495 ახჩა.

დავთრის მომდევნო გვერდზე საუბარია ჩილდირის მირმირანის

ჰაკირ ფაშას ხასზე. მზვარეს ნაჰიე ხსენებულ ლივაშია. აქვეა ახალციხის რაბათი, რომელიც ექვემდებარება ხსენებულს. შემოსავალია 30000 ახჩა. აქვეა სოფელი დადეში, რომლის შემოსავალია 20000 ახჩა. საერთო ჯამია 50000 ახჩა.

შემდეგ დასახელებულია ჩრდილის ნაჰიე ხსენებულ ლივაში, სოფელი ვალი, რომლის შემოსავალია 7500 ახჩა. საერთო ჯამია 32500 ახჩა.

აქვეა უდეს ნაჰიე ხსენებულ ლივაში, მასში შედის უდეს ციხის რაბათი, შემოსავლით – 30000 ახჩა. მასში შედის იალაღი ლელიღი, მისი შემოსავალია 6000 ახჩა. აქვეა ხასის ჩაირი უდეს ციხის რაბათთან, მისი შემოსავალია –4500 ახჩა. საერთო ჯამია 40500 ახჩა.

აქვეა აგრეთვე, აწყურის ნაჰიე ხსენებულ ლივაში. მასში შედის რამდენიმე სოფელი. ესენია: აწყურის ციხის რაბათი – 30000 ახჩა შემოსავლით. რუდბალი შემოსავლით – 15000 ახჩა, სოფელი დუგარი, იგი ახლოსაა დარჟესთან, შემოსავლით – 14595 ახჩა. სოფელი ზღუდისი აწყურის რაბათთან ახლოს, შემოსავალია 19000 ახჩა. ბოლოს სოფელი ავურღადი ექვემდებარება ხსენებულს, შემოსავალი 6000 ახჩა. საერთო ჯამი – 105550.

შემდეგ დავთარში საუბარია: ზემო აჭარის, ასპინძის, ახალქალაქის, ჭაჭარაქის, დიდი არტაანისა და ჩილდირის ლივებზე, მათში შემავალი სოფლებისთვის შეწერილ გადასახადთა რაოდენობაზე. აქვე საუბარია პეტრეს ლივაში შემავალ სოფლებზე და მასზე შეწერილ გადასახადებზე.

ზემო აჭარის ლივაში დასახელებულია ოთხი სოფელი. ესენია: ღორჯომი, რომლის შემოსავალია 29999 ახჩა, დაბადღა ახრა, მისი შემოსავალია 15000 ახჩა, სოფელი დუხო, რომლის შემოსავალია 15002 ახჩა და სოფელი ალმე, მისი შემოსავალია 29999 ახჩა. საერთო ჯამია 90000 ახჩა.

ასპინძის ლივაში კი სამი სოფელია წარმოდგენილი. ესენია: სოფელი მუსხი, შემოსავლით – 15500. სოფელი ახალშილი, შემოსავლით 15000 ახჩა და სოფელი ქვემო ნაზქიე, შემოსავლით 5000 ახჩა. საერთო ჯამია – 35500 ახჩა.

ახალქალაქის ლივაში გაერთიანებულია მხოლოდ ოთხი სოფელი. ესენია: სოფელი ზემო ბიალე, შემოსავლით – 15000 ახჩა, რომელიც

ექვემდებარება ბენაშქუდს, სოფელი ბურკა, რომლის შემოსავალია 18000 ახჩა. სოფელი ქვემო ფიალე, შემოსავლით — 18000 ახჩა. სოფელი რიზე ბუმექი, შემოსავლით — 5000 ახჩა. საერთო ჯამია 56000 ახჩა.

ჭაჭარაქის ლივაში მხოლოდ ერთი სოფელი შედის. სოფელი ბოღა, შემოსავლით — 9000 ახჩა.

დიდი არტაანის ლივაში ორი სოფელია გაერთიანებული. სოფელი მუღრა, რომელიც ექვემდებარება მზვარეს, შემოსავლით 10000 ახჩა და სოფელი ჰაკა ქუჩუკი, ექვემდებარება ტყიანს, შემოსავლით 8000 ახჩა.

შემდეგ ჩამოთვლილია ყველა იმ გადასახადების სახეობა, რომლებიც ამ რეგიონში არსებობდა, კერძოდ, ნაჩვენებია გადასახადი თევზზე, რომელიც გაიწერა მდინარე ქოფრუზე, მისი გადასახადია 30000 ახჩა.

ასევეა ბეითალმალიზე დაწესებული გადასახადი, ფოცხვერის ტყავზე, ეს გადასახადი არსებობდა ახალციხის, უდეს, ქობლიანისა და აწყურის რაიონებში, წლიური შემოსავლით 35000 ახჩა.

არის გადასახადი მღებავებზე ახალციხის რაბათზე, უდესა და აწყურზე — 95000 ახჩა წლიურად.

ასევე იყო მურაბხასიე გაბრანი ხსენებულ ნაჰიეებზე, გაწერილი იყო ზიამეთებზე, თიმარებზე, თითოეულ სახლზე —2-2 ახჩა. წელიწადში 15000 ახჩა. იყო გაწერილი გადასახადი ცხვარზე ხსენებულ ხასებზე, ზიამეთებზე, თიმარებზე, ციხის მეციხოვნეებსა და სიფაჰიებზე, წლიურად 25000 ახჩა.

ასევე იყო გადასახადი ნაჰიეების იალაღებზე, თიმარებზე, ზიამეთებზე, სიფაჰიებზე, წლიურად ემართათ 94000 ახჩა.

იყო აგრეთვე გადასახადები იავა ვე კაჩკუნ, მალი გაიფ, მალი მეფკუთ ხსენებულ ნაჰიეებზე — წელიწადში 17000 ახჩა. იყო აგრეთვე გადასახადი თესქერეებზე და მირმირანის ბერათებზე წლიური გამოსაღები — 20000 ახჩა.

ასევე იყო იალაღებზე და სხვა სახის გადასახადები წლიურად 10000 ახჩას ოდენობით.

ასევე ხსენებულ ლივებზე იყო აგრეთვე გადასახადები: ნახევარი ბადიჰავა, საქორწინო გადასახადი თიმარებზე, ზიამეთებსა და თავისუფალ თიმარებზე, ხსენებულ ნაჰიეებში — წლიურად 3700

ახჩა. საერთო ჯამი იყო 360200 ახჩა.

შემდეგ საუბარია პეტრეს ლივას სოფლებზე. მასში წარმოდგენილია ოთხი სოფელი. ესენია: სოფელი ზარზმა, შემოსავლით — 11660 ახჩა. იყო აგრეთვე გადასახადი რესმი დაღური, საერთო შემოსავლით — 15200 ახჩა. შემდეგი სოფელია სამრა სახურლენი, შემოსავლით 13000 ახჩა. ბოლო სოფელია სენდაქარი, მეორე სახელია ჰაქიდი ექვემდებარება ქასღადს, შემოსავლით — 30000 ახჩა.

ჯამია 69860 ახჩა. საერთო ჯამია 900110 ახჩა. შემდეგ საუბარია ჩილდირის ვილაიეთის თიმარებზე, ქეთხუდას დავთრის ზიამეთზე. მას მოსდევს სოფელი ერდელი, რომელიც ექვემდებარება უდეს. მისი შემოსავალია 7000 ახჩა.

შემდეგ კვლავ საუბარია ხერთვისის ლივაზე, რომლის სოფლებიდან შედიოდა შემდეგი შემოსავალი: სოფელ ზავრილიდან — 25000 ახჩა, სოფელ არილიდან — 10000 ახჩა, სოფელ ლაღალუმანიდან — 10000 ახჩა. სოფელ ზემო და ქვემო დილქედან — 5000 ახჩა. საერთო ჯამია 50000 ახჩა.

ახალქალაქის სოფელი ბერბუნზეა, რომელიც ახლოსაა სოფელ ქოფრუსთან, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 5000 ახჩა. პეტრეს ლივაში შემავალი სოფლებიდან: აშეთუბანი, მისი შემოსავალია 13000 ახჩა, მამათუბანი — 10000 ახჩა. შემოსავლის ჯამია 23000 ახჩა. საერთო ჯამია 85000 ახჩა.

შემდეგ მითითებულია სოფელი ფარღა დამბურა, რომელიც ექვემდებარება მზვარეს და იძლევა 12000 ახჩას. სოფელი ჰერაჯეთი 3000 ახჩას. სოფელი ქვედა ბირალი 6000 ახჩას. შემდეგ საუბარია ჩილდირის ვილაიეთის თიმარების თესქერეს გადასახადზე, რომელიც წელიწადში შეადგენს 50000 ახჩას.

კვლავ საუბარია პეტრეს ლივაზე. მასში ორი სოფელია წარმოდგენილი. სოფელი ჩალა 5000 ახჩის შემოსავლით და სოფელი თია 4500 ახჩათი.

დავთარში აღწერილია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ მიწის ნაკვეთის მფლობელის გარდაცვალების შემდეგ იგი სხვას გადაეცემა გარკვეული პირობის სანაცვლოდ.

მომდევნო გვერდზეც რამდენიმე მინაწერია, რომლის მიხედვითაც ისევ ამა თუ იმ მიწის ნაკვეთი, მისი მფლობელის გარდაცვალების გამო, ახალ მფლობელს ეძლევა გარკვეული პირობის სანაცვლოდ.

შემდეგ ჩამოთვლილია მთელი რიგი სოფლებისა, რომელთა შემოსავალი საკმაოდ მაღალია. მაგალითად, სოფელი ჩობასანი, რომელიც ექვემდებარება უდეს, იძლევა 4000 ახჩას, მიდანი — 5000 ახჩას, სოფელი ბულაჩაური 4000 ახჩას, სოფელი ზემო შუა რიბარი — 4000 ახჩას, სოფელი არალი — 4000 ახჩას, სოფელი სახლინი — 4000 ახჩას, სოფელი ჩორჩანი 4000 ახჩას, სოფლები: საირ მიშე და სოფელი ბადლევანი — 4000-4000 ახჩას.

აქვე არის მინაწერიც, რომლის მიხედვით, თიმარი ეძლევა გარეშე პირს. მისი შემოსავალია 6000 ახჩა. შემდეგ ჩამოთვლილია აწყურს დაქვემდებარებული სოფლები: სალიბა, აწყურთან ახლოს მდებარე, იძლევა 7000 ახჩას. სოფელი ხოდასი — 4000 ახჩას და სოფელი ბუქსანი — 5000 ახჩას.

მომდევნო 21-ე გვერდზე არის 1618 წლის მინაწერები, რომლებიც ეხება ბერათების ბოძების საფუძველზე მიწის ნაკვეთების გარდაცვლილი პატრონიდან ახალი მეპატრონისათვის გადაცემის საკითხს. ამ გზით არაერთი მიწის ნაკვეთი იქნა გაბოძებული უფრო მოგვიანო პერიოდში. კერძოდ, 1605 წლიდან 1620 წლამდე. შემდეგ საუბარია უმაღლესი სამეუფეო კარის ჩაუშის ალი ფირის ძის ზიამეთის შესახებ.

შემდეგში ამ ტიპის მინაწერები ძალიან ხშირად გვხვდება, თითქმის ყოველ გვერდზე.

საინტერესოა საუბარი თიმარებსა და ზიამეთებზე, სხვადასხვა დროს გაცემულია განკარგულებები ამა თუ იმ ზიამეთის თუ თიმარის სხვა პირისათვის გადაცემის თაობაზე. ბოლოს მოტანილია რამდენიმე სოფლის სახელი თავისი შემოსავლით, კერძოდ, სოფელი იორქიდემირე, რომელიც ექვემდებარება აწყურს. შემოსავალია 15000 ახჩა, მეორე სოფელია ქედანი — 7500 ახჩით, შემდეგი დასახლებაა დარას ჰარაზი, მისი შემოსავალია — 2000 ახჩა.

შემდეგ გვერდზე ისევ საუბარია გარკვეული პირებისადმი ბერათების ბოძებისა და მიწების გადანაწილების საკითხზე. თარიღი განსხვავებულია. ჩანს, მინაწერები სხვადასხვა დროსაა გაკეთებული. აქვე რამდენიმე სოფელია წარმოდგენილი თავისი შემოსავლებით, კერძოდ, დენისი ექვემდებარება აწყურს, შემოსავალი 10500 ახჩაა, მეორე სოფელი დენისი ექვემდებარება მზვარეს, შემოსავალი — 10200 ახჩა.

აღწერილია ზოგიერთი თიმარი, რომელიც ცარიელია. მათ დაენიშნათ ახალი მფლობელი. შემდეგ ჩამოთვლილია სოფლები, მათზე შეწერილი გადასახადების ოდენობით. კერძოდ, სოფელი რუმუსანი, რომელიც ახლოსაა სოფელ აბელთან და ექვემდებარება ქობლიანს იხდის 5000 ახჩას. სოფელი ქიქულუ შემოსავლით 9100 ახჩა. სოფელი სანაბიეს რაბათი, ექვემდებარება აწყურს, შემოსავალი — 5000 ახჩა.

ერთ-ერთ მინაწერზე მითითებულია, რომ ვინმე ჰასანმა დატოვა სამსახური და იგი გადაეცა ვინმე ოსმანს, რისთვისაც ბერათიც გაიცა. ეს მინაწერი გაკეთებულია 1028 წელს (ე.ი. 1618-1619 წელს).

შემდეგი მიწის ნაკვეთი ეკუთვნის ვინმე ისმაილს, რომლის განკარგულებაშია 4 სოფელი. ესენია: სოფელი საბლითი, რომელიც ექვემდებარება უდეს, მისი შემოსავალია 6000 ახჩა, მეორე სოფელია ანქასი, იგი ახლოსაა სოფელ გუდრურთან, ექვემდებარება ქობლიანს. მისი შემოსავალია 3500 ახჩა: სოფელი დიბუქილი, ექვემდებარება უდეს, მისი შემოსავალია 7500 ახჩა. ბოლო მეოთხე სოფელია ღული, მისი შემოსავალია 5500 ახჩა.

შემდეგ საუბარია ვინმე მეჰმედის ზიამეთზე, რომელიც ფლობს 6 სოფელს. ეს სოფლებია: სოფელი კარა კურაი, ექვემდებარება აწყურს, შემოსავალია 2000 ახჩა. სოფელი სადარი, შემოსავლით — 3000 ახჩა, სოფელი ადაბუქი, შემოსავლით — 1000 ახჩა, სოფელი ბუდულალუბანი, შემოსავლით 500 ახჩა, სოფელი ერქეთუბანი, შემოსავლით — 1000 ახჩა და სოფელი დაჰინი 500 ახჩა შემოსავლით. ერთ-ერთი მინაწერით სამი სოფელი ეკუთვნის ვინმე ალის. აქვე საუბარია თიმარებისა და ზიამეთების გადანაწილებაზე. ზიამეთის თუ თიმარის ოდენობა ხან იკლებს და ხან იმატებს. ამის მიხედვით ხდება მათი გადანაწილება ახალ მფლობელებზე. ზოგი გარდაცვლილია, ზოგიც მრავალთა მიზეზთა გამო სხვა პირებს გადაეცათ. ბოლოს მოცემულია ზიამეთის მფლობელის სოფლების სახელები მათი შემოსავლის ოდენობის მითითებით.

მინაწერებში იცვლებიან თიმარებისა და ზიამეთების მფლობელები. დოკუმენტები გაცემულია 1128 და 1131 წლებში, შემდეგ საუბარია ზიამეთის მფლობელ მეჰმედ მუჰარემის ძეზე, რომელსაც ეკუთვნის ოთხი სოფელი. ესენია: სოფელი ბიდა, ექვემდებარება აწყურს, იძლევა 2000 ახჩა შემოსავალს. სოფელი დიბაქლიე, მისი შემოსავალია

8000 ახჩა. მას მოსდევს სოფელი სური, რომელიც იძლევა 2000 ახჩა შემოსავალს. სოფელი ბადალა, მისი შემოსავალია 1500 ახჩა. ამ ზიამეთის საერთო რაოდენობაა 7500 ახჩა. ამავე ზიამეთს ახლავს მინაწერი, რომლის მიხედვითაც თიმარი ერთი პირიდან მეორე პირის მფლობელობაში გადადის. აქვე ნაჩვენებია, რომ ზიამეთი, სულეიმანის მფლობელობაში მყოფი ექვემდებარება მზვარეს და იძლევა შემოსავალს 13000 ახჩას. მომდევნო გვერდზე ისევ საუბარია, როგორ გადადის ესა თუ ის ზიამეთი ერთი მფლობელის ხელიდან მეორე მფლობელის ხელში. გაცემულია რამდენიმე თიმარის ან ზიამეთის მფლობელის გარდაცვალების ან სხვისთვის გადაცემის თაობაზე. თარიღები სხვადასხვაა. ხდება თიმარებისა და ზიამეთების შემცირება ან გადიდება და მის მიხედვით ხდება გარკვეული გადასახადის დაწესებაც, მითითებულია ზიამეთის მფლობელის სახელი და სოფელთა რაოდენობა. ნაჩვენებია, რომ ჩაუშთა ჩაუში ვინმე ალი ფლობს ხუთ სოფელს. ეს სოფლებია: ზემო თუხრათი, ექვემდებარება ჩრდილს, შემოსავალია 10000 ახჩა. სოფელი ოხურხალი, შემოსავალია 10000 ახჩა. სოფელი სახულისი, მისი შემოსავალია 6000 ახჩა, ნოქია, ექვემდებარება მზვარეს, შემოსავალია 1000 ახჩა, სოფელი ოხურხალი ექვემდებარება ჩრდილს, შემოსავალია 10000 ახჩა. საერთო ჯამია 27000 ახჩა. შემდეგ ცალკეა გამოყოფილი ჩრდილის ნაჰიე ჩილდირის ლივაში.

აქვე ჩამოთვლილია რამდენიმე სოფელი თავისი შემოსავლებით, მაგალითად, სოფ. ზემო თუხრა შემოსავალია 10000 ახჩა. სოფელი ოხურხალი ახლოსაა მონასტრისა და დარიებანის დასახლებასთან, შემოსავალია 20000 ახჩა. შემდეგი სოფელია სახრულისი, მისი შემოსავალია 6000 ახჩა. მას მოსდევს სოფელი ბოიკა, ექვემდებარება მზვარეს, შემოსავალია 1000 ახჩა. საერთო ჯამია 27000 ახჩა. სოფელი ოჰურჰალი, რომლის შემოსავალია 10000 ახჩა. სოფელი არჰურჰალი, მისი შემოსავალია 10000 ახჩა. ამ შემთხვევაშიაც მინაწერებში საუბარია მიწის ნაკვეთთა რეორგანიზაციაზე, მათ დამცრობა-გაზრდაზე. ზოგი მფლობელი მიწის ნაკვეთისა გარდაცვლილია და ამის გამო ხდება განახლება ამა თუ იმ თიმარისა თუ ზიამეთისა. შემდეგ ჩამოთვლილია რამდენიმე სოფელი თავისი შემოსავლებით.

შემდეგ საუბარია ვინმე ჰუსეინისა და მუსტაფას ზიამეთებზე.

კერძოდ, ჰუსეინის ზიამეთი წარმოდგენილია ორი სოფლით. ეს სოფლებია: სოფელი ღურენი, რომელიც იძლევა 4050 შემოსავალს და ექვემდებარება უდეს. მეორე სოფელი — ხანჯანური იძლევა 4000 ახჩა შემოსავალს.

მუსტაფას ზიამეთი კი ერთ სოფელს შეიცავს. ესაა, სოფელი დანჯე, რომელიც აწყურს ექვემდებარება და იძლევა 9000 ახჩა შემოსავალს.

შემდეგ საუბარია თიმარის ვინმე ჰუსეინისათვის ბოძების თაობაზე 1009 წელს და ზიამეთზე, რომლის მფლობელია ალაი ბეგი მეჰმედ ძე კურდისა. მის განკარგულებაშია ერთადერთი სოფელი დიდი ანია. იგი ექვემდებარება ქობლიანს და იძლევა 8000 ახჩა შემოსავალს. შემდეგ ნახსენებია ზიამეთის მფლობელი ვინმე კასიმი. მის მფლობელობაშია ორი სოფელი და ერთი მამული. სოფელი დიდი არალი და საშუალო არალი, ექვემდებარება ჩრდილს, მისი შემოსავალია 6600 ახჩა, მეორე სოფელია ზემო ქუჩუქ არალი. მისი შემოსავალია 2000 ახჩა, არის ერთი მამული ვინმე ყოლაუზ კასიმის მფლობელობაში, სოფელი რუხსინისთან, იგი თიმარის სახითაა. მისი შემოსავალია 1000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთის მფლობელი ქემარი ორი სოფლის გამგებელია. ესენია: სოფ. საქურქა, რომელიც აწყურს ექვემდებარება და მისი შემოსავალია 7350 ახჩა, მეორე სოფელია ჯუდასრუბანი, რომელიც ქობლიანს ექვემდებარება და იძლევა შემოსავალს 8000 ახჩას ოდენობით. შემდეგი სოფელია ქორბია, მისი შემოსავალია 3000 ახჩა.

მორიგი ზიამეთის მფლობელია ქათიბ იუსუფი. სამეუფეო დივანის შეგირდი, მასში მხოლოდ ერთი სოფელი შედის. ესაა სოფელი სურაბადი. მეორე სოფელია დემურქასი. ექვემდებარება მზვარეს. მისი შემოსავალია 3000 ახჩა. შემდეგი ზიამეთის მფლობელია ვინმე ბეჟანი, მას ერთადერთი სოფელი ექვემდებარება — ზირდანა, იგი აწყურის შემადგენლობაშია და იძლევა შემოსავალს 14000 ახჩას.

შემდეგ ჩამოთვლილია რამდენიმე თიმარი და ზიამეთი, რომლებიც ცარიელია და საჭიროა ხელახალი მფლობელისათვის გადაცემა. ბერათები გაცემულია სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირისადმი. ზიამეთი ეკუთვნის ვინმე მეჰმედს, რომლის განკარგულებაშია ორი სოფელი. ესენია: სოფელი ამჰა, რომელიც ახლოსაა უნილთან და

ექვემდებარება უდეს. მისი შემოსავალია 8000 ახჩა. მეორე სოფელია დადალუ, იძლევა 7500 ახჩა შემოსავალს. იმავე გვერდზე მხოლოდ ერთი ზიამეთია მითითებული. ესაა ვინმე აჰმედის განკარგულებაში არსებული ზიამეთი ერთი სოფლით – ქვაჯვარი, იძლევა 3000 ახჩა შემოსავალს. იგი ექვემდებარება უდეს.

მომდევნო გვერდზე საუბარია თიმარებისა და ზიამეთების მფლობელთა მოხუცებულობაზე. მათი სხვა პირებისადმი გადაცემაზე. დოკუმენტები გაცემულია სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირისადმი. შემდეგ მოტანილია ზიამეთის მფლობელის იუსუფის სოფლების სახელწოდება. ეს სოფლებია: ზემო და ქვემო ჭომა, ექვემდებარება მზვარეს. მისი შემოსავალია 5500 ახჩა, სოფელი სახვალია, იძლევა შემოსავალს 500 ახჩას, სოფელი გოლა, მისი შემოსავალია 3000 ახჩა. სოფელი ოსირე ექვემდებარება უდეს. იძლევა შემოსავალს 4000 ახჩას. ხერთვისი ექვემდებარება უდეს და იძლევა შემოსავალს 4000 ახჩას. სოფელი ქივანა, ექვემდებარება უდეს და იძლევა შემოსავალს 9000 ახჩას, სოფელი ქუმთუბანი ახლოსაა სოფელ მუჯისთან, ექვემდებარება უდეს, იძლევა შემოსავალს 2000 ახჩას. სოფელი გუნათუბანი, ექვემდებარება მზვარეს, იძლევა შემოსავალს 2000 ახჩას.

ვინმე ფერჰადის განკარგულებაშია ზიამეთი, მასში შედის სამი სოფელი. ეს სოფლებია: სოფელი დირარი ექვემდებარება უდეს, იძლევა შემოსავალს 3000 ახჩას. სოფელი კურკა ნესლაია, იძლევა 6770 ახჩა შემოსავალს. სოფელი ადარაბა, ახლოსაა ხარბეგის დასახლებულ პუნქტთან, იძლევა 5000 ახჩა შემოსავალს.

შემდეგ საუბარია მზვარეს ნაჰიეზე ახალციხის ლივაში. აქვეა მუსტაფას თიმარი, რომელიც ორ სოფელს აერთიანებს. ეს სოფლებია: აგრაბარდი, ალბადიუ, იძლევა 6000 ახჩა შემოსავალს. შემდეგი სოფელია დურნისი შემოსავლით – 1000 ახჩა.

შემდეგ მოდის ჩრდილოს ნაჰიე ახალციხის ლივაში. აქვეა თიმარი, რომელიც ეკუთვნის ვინმე აბუბაქრს. მის განკარგულებაშია ორი სოფელი. სოფელი ალა, შემოსავლით 8000 ახჩა და სოფელი არასახი, შემოსავალია 6100 ახჩა. მამულის მფლობელები არიან კუბადი და კასიმი. ეს სოფელი მდებარეობს არსიმისთან თიმარის სახით, მისი შემოსავალია 1000 ახჩა.

არის თიმარები, რომლებიც ბოძებულია გარკვეული პირებისადმი,

ზოგიერთი გარდაცვლილია, ზოგიერთი სხვას ებოძება გარკვეული პირობის სანაცვლოდ, დოკუმენტების გაცემის თარიღიც სხვადასხვაა. აქვეა თიმარი, რომელიც ვინმე ზულფიკარს ეკუთვნის. მის მფლობელობაშია ორი სოფელი. ეს სოფლებია: ოჰსიჰი, 10000 ახჩა შემოსავლით და სოფელი სარილი, 1000 ახჩა შემოსავლით.

შემდეგ საუბარია უდეს ნაჰიეზე ახალციხის ლივაში. საუბარია თიმარზე, რომელიც ეკუთვნის ჩილდირის დივანის ჩაუშთა ჩაუშს ჰიმეთს. მის განკარგულებაშია ორი სოფელი. სოფლები კურასინი, 10000 ახჩა შემოსავლით და სოფელი ზამალა უბანი, ექვემდებარება მზვარეს. შემოსავალია 1100 ახჩა. დასახელებული ზაჰილის თიმარი , სოფელი არხოშე, 6000 ახჩა შემოსავლით. მომდევნო თიმარი ეკუთვნიოს ვინმე აჰმედს, მის განკარგულებაშია სამი სოფელი. ეს სოფლებია: სამყური, 7590 ახჩა შემოსავლით, სოფელი ჯიდლარი, 2000 ახჩა შემოსავლით და სოფელი ჯაჰალური 3000 ახჩა შემოსავლით.

შემდეგი თიმარის მფლობელია ალი კუბადი. მის განკარგულებაშია სამი სოფელი. ესენია: სოფელი ბურდუხარი, მისი შემოსავალია 8000 ახჩა, სოფელი დირსბილი 6000 ახჩა შემოსავლით, სოფელი გუდერი, ექვემდებარება ქობლიანს, შემოსავალია 3999 ახჩა.

მომდევნო თიმარი კუბად ალის ძისაა. მის მფლობელობაშია სამი სოფელი. სოფელი ჯურჯისი – 6565, მას მოსდევს სოფელი ახარილი, რომელიც ქობლიანს ექვემდებარება, იძლევა 6935 ახჩა შემოსავალს. სოფელი გურგული, ექვემდებარება უდეს. შემოსავალია 4500 ახჩა. შემდეგ თიმარის მფლობელია მეჰმედი. მას მხოლოდ ერთი სოფელი, ესაა სოფელი ქუბადუდი, შემოსავლით – 3500 ახჩა. შემდეგ მინაწერში საუბარია ბერათის განახლებაზე. მას მოსდევს თიმარი ჰამზასი. მის განკარგულებაშია სამი სოფელი. ესენია: სოფელი კარათუბანი, შემოსავლით 6000 ახჩა, სოფელი ნევაბი, ექვემდებარება ჩრდილს, შემოსავლით – 6000 ახჩა.

შემდეგ საუბარია აწყურის ნაჰიეზე ახალციხის ლივაში. აქ თიმარი ეკუთვნის დივანა კუბადს. აქ სოფელ დინქლიეს შემოსავალია 13000 ახჩა

შემდეგი თიმარი მუსტაფასია, მას მხოლოდ ერთი სოფელი ეკუთვნის. ესაა სოფელი ოგინი, მისი შემოსავალია 5000 ახჩა. მომდევნო თიმარს ახლავს მინაწერი, თიმარი ჰაჯი რიზვანისაა.

შემდეგში დავთარი ეხება ალთუნ ყალას ლივაში შემავალ სოფლებსა და იქიდან მიღებულ შემოსავლებს. ალთუნ ყალას რაბათის შემოსავალია 9000 ახჩა.. სოფელ ბილბანას შემოსავალია 20000 ახჩა. სოფელი ქილისა ჯულამის შემოსავალია 12000 ახჩა. სათესველი ჯულარი ექვემდებარება ქობლიანს 1000 ახჩა შემოსავლით. სოფელი გურიე ექვემდებარება აწყურს, შემოსავალი – 12000 ახჩა.

ახალციხის ლივა. სოფელი დალისონი ექვემდებარება უდეს. შემოსავალი – 16500 ახჩა. სოფელი ზუზუბანი, შემოსავალი – 13700 ახჩა. სოფელი ზემო მუმასი, შემოსავალი 30000 ახჩა. საერთო შემოსავალი – 60200 ახჩა. შემდეგ მინაწერებში საუბარია ისევ თიმარებისა და ზიამეთების მფლობელთა გადანაწილებაზე. აქვე ჩამოთვლილია გადასახადები შესაბამისი თანხით. შემოსავლ ბეითალმალისა 10000 ახჩაზე ნაკლები თუა „ფოცხვერის ტყავზე“ გადასახადი 500 ახჩაა წელიწადში. შემოსავალი სამღებროებიდან წელიწადში 13000 ახჩა. შემოსავალი ჯიზია მურახხასიე გაბრანისა ხსენებულ ლივაში, თავისუფალი თიმარებისა და ზიამეთებისაგან თითოეულ სახლზე 2-2, წელიწადში 4000 ახჩა. შემოსავალი ცხვარზე, ხსენებული ლივის ხასებზე, თავისუფალ თიმართაგან და ზაიმთაგან ციხეებზე წელიწადში 5000 ახჩაა. შემოსავალი იალაღებზე ხსენებულ ლივაში წელიწადში 4000 ახჩაა. იავასა და კაჩკუნზე, მალი გაიფზე – წელიწადში 4000 ახჩა. ნახევარი ბადჰავა, არუსანე სიფაჰების თიმარებზე, თავისუფალ თიმარებსა და ზიამეთებზე – წელიწადში 11585 ახჩა. საერთო ჯამია 50585 ახჩა.

ოცხეს ლივა. სოფელი ჯარჯამი ექვემდებარება ოცხეს, შემოსავალია 15000 ახჩა. სოფელი გურხი შემოსავლით 18600 ახჩა.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია ვინმე ბეჟანი, რომელიც მხოლოდ ორ სოფელს ფლობს. ეს სოფლებია: ბაჰრო, რომელიც ექვემდებარება ალთუნ ყალას და იძლევა შემოსავალს – 12235 ახჩას და მეორე სოფელია დაუდ ხანი ისიც ექვემდებარება ალთუნ ყალას, იძლევა შემოსავალს 14000 ახჩას. მეორე ზიამეთის მფლობელია ვინმე რამაზანი, ისიც ორ სოფელს ფლობს. ოღაირ ლუჰას, რომელიც იძლევა 5000 ახჩა შემოსავალს, და სოფელი თექურდუ, იძლევა 5000 ახჩა შემოსავალს.

შემდეგ საუბარია ალთუნ ყალას ნაჰიეზე. თიმარი ეკუთვნის ვინმე სულეიმანს. მის განკარგულებაშია ორი სოფელი: სახანე ქუჩუქი — 11000 ახჩა შემოსავლით და ჰავასითი 10000 ახჩა შემოსავლით. საერთო ჯამია 21000 ახჩა.

შემდეგი თიმარის მფლობელია ვინმე დაუდი, რომლის განკარგულებაშია ორი სოფელი. სუბჰანა კუჩუკი 11000 ახჩა შემოსავლით და სოფელი ხვასითი 10000 ახჩა შემოსავლით.

შემდეგ იწყება ოცხეს ლივა. საუბარია ოცხეს ნაჰიეზე. ჩამოთვლილია სოფლები, რომელთაც შეწერილი აქვთ გარკვეული ოდენობის გადასახადები. ეს სოფლებია: რაბათის ციხე, 19000 ახჩა შემოსავლით. შემდეგი სოფელია: გორიჯვარი, შემოსავლით 12500 ახჩა, მას მოსდევს სოფელი კორკუტა, შემოსავლით — 10600 ახჩა. სოფელი რაჰირი, შემოსავლით — 18600 ახჩა: სოფელი რაბათის ციხე ბულასი, შემოსავლით — 1500 ახჩა: სოფელი ნაპლუ შემოსავლით 20000 ახჩა. აბაზთუბანი — 25000 ახჩა; სოფელი მაჰარსუდი — 25000 ახჩათი, სოფელი ბუდაქლინი — 1500 ახჩათი, სათესველი მანდალინი 1000 ახჩათი.

შემდეგ საუბარია პეტრეს ლივაზე, სოფელი ლიკანი, ექვემდებარება პეტრეს 18000 ახჩათი, სოფელი სიმახარარა 12000 ახჩათი, დასახელებულია ბეითალმალის გადასახადი, შეწერილია წელიწადში ფოცხვერის ტყავის გადასახადი 5000 ახჩას ოდენობით. სამღებროს შემოსავალი წელიწადში 10000 ახჩა. შემდეგაა შავი თამღას გადასახადი და იჰთისაბიეს[1] გადასახადთან ერთად. მასზე წელიწადში შეწერილია 25000 ახჩა.

შემდეგაა გადასახადი ჯიზია მურახასიე გაბრანი. იგი გაიღება ხსენებული ლივის ზაიმებისა და თავისუფალ თიმართაგან თითოეულ სახლზე 2-2, წელიწადში 1000 ახჩა. მას მოსდევს გადასახადი ცხვარზე, ხასებზე. ზაიმებისა და თავისუფალ თიმართაგან წელიწადში 3500 ახჩა. შემოსავალი იავასა და კაჩკუნზე — წელიწადში 3000 ახჩა. ბოლოსაა ბადჰავას ნახევარი და არუსანეს გადასახადი. სიფაჰთა, თიმარებისა, ზაიმებისა და თავისუფალ თიმართაგან წელიწადში 6000 ახჩა. საერთო ჯამია 55500 ახჩა. სულ დაჯამებულია 316200 ახჩა.

ვინმე მუსტაფას ეკუთვნის სოფელი ოვირე. შემოსავლით 7000 ახჩა. აქვე ჩამოთვლილია ოცხეს ნაჰიეში შემავალი სოფლები

ქარდვარი, მისი შემოსავალია 5000 ახჩა. სოფელი რედისხი, შემოსავალია 2000 ახჩა, სოფელი ჰარჯემი, შემოსავლით 15000 ახჩათი. სოფელი ჯვალვანიანი, მისი შემოსავალია 1000 ახჩა. ბოლო სოფელია ქურქილ უბანი, მისი მეორე სახელია ბურქილ საჯე, შემოსავლით 2000 ახჩა. შემდეგი თიმარი ეკუთვნის ოსმანს, მას მხოლოდ ერთი სოფელი ექვემდებარება – ესაა სოფელი დადეში, 7000 ახჩა შემოსავლით.

შემდეგ განხილულია ჭაჭარაქის ლივა. მასში წარმოდგენილია 12 სოფელი. ეს სოფლებია: ჭაჭარაქის ციხის რაბათი, 14500 ახჩა შემოსავლით, ზემო ჭაჭარაქი 12950 ახჩა შემოსავლით, ქვემო ჭაჭარაქი 6000 ახჩა შემოსავლით, სოფელი ჭობა 30700 ახჩა შემოსავლით, სოფელი რაღუდერე 42000 ახჩა შემოსავლით, სოფელი მონასტერი შემოსავლით 21435 ახჩა, სოფელი ბურსაბინა 9025 ახჩა შემოსავლით, სოფელი სურასილი, შემოსავალია 6325 ახჩა. სოფელი ანილი, შემოსავალია 19000 ახჩა. სოფელი ჭობავიდი, შემოსავალი 21065 ახჩა. სოფელი რევანიქ ბუსილი, 18300 ახჩა შემოსავლით.

შემოსავალი ბეითალმალისა თუ 10000-ზე ნაკლებია, მაშინ ფოცხვერის ტყავზე იქნება გადასახადი წელიწადში 15000 ახჩა. გადასახადი სამღებროზე – წელიწადში 15000 ახჩა. შემოსავალი შავ თამღასა და იჰთისაბიეზე – წელიწადში 6000 ახჩა.

შემოსავალი ჯიზიე მურახხასიე გაბრანზე, ზიამეთებსა და თავისუფალ თიმარებზე, ყოველ სახლზე 2-2 წელიწადში 6000 ახჩა.

გადასახადი ცხვარზე, ხასებზე, ზიამეთებსა და თიმარის სიფაჰიებზე, წელიწადში 6000 ახჩა.

გადასახადი იავასა და კაჩკუნზე – წელიწადში 5000 ახჩა. ნახევარი ბადჰავას, სიფაჰების, თიმარების, არუსანეს, თავისუფალ თიმართა და ზაიმთა გადასახადები – წელიწადში 15000 ახჩა. საერთო გადასახადია 74000 ახჩა.

შემდეგ ჩამოთვლილია სოფლები თავისი შემოსავლებით. კერძოდ, აქ საუბარია შემდეგ სოფლებზე: სოფელი ანდრიაწმინდა, ახლოსაა ბორჯომთან, შემოსავალია 700 ახჩა. შემდეგი სოფელია ბაბილო, მეორე სახელია ჰადლუთ უბანი, შემოსავალია 7000 ახჩა; სოფელი აზელი, შემოსავალია 6000 ახჩა. სოფელი მალასიხო, შემოსავალია

5000 ახჩა, სოფელი მოლარეთუბანი, შემოსავალია 4000 ახჩა; სოფელი ბარდიქათუბანი, შემოსავალია 3000 ახჩა, სოფელი ზედა და ქვედა ოჰჯე, შემოსავალია 1000 ახჩა. საერთო ჯამია 31000 ახჩა.

ზიამეთის მფლობელია ვინმე მეჰმედი, მისი ნაკვეთის და სოფლის სახელწოდებაა კარბაქლუ, შემოსავალია 19000 ახჩა. მეორე სოფელია ანბულუ, შემოსავალი კი 4500 ახჩაა. მეორე სოფლის ზიამეთის მფლობელია ვინმე კარა ბექირი, მას ორი სოფელი ეკუთვნის. ესენია: სოფელი ორსილი 8335 ახჩა შემოსაელით და სოფელი მუბანი 8265 ახჩა შემოსავლით.

შემდეგ გვერდზე რამდენიმე მინაწერის შემდეგ ზიამეთი ეკუთვნის უღურლუს. მისი სოფლებია: ბორჯომი, ახლოსაა მეორე ბორჯომთან, შემოსავალია 12000 ახჩა. სოფელი ულუ შემოსავლით 5000 ახჩათი. სოფელი ზემო და ქვემო ჩოჩითი, შემოსავლით 8000 ახჩა. შემდეგი ზიამეთის მფლობელია აბდულფიკარი, სოფლით ჩორჯოთი, შემოსავალია 12000 ახჩა.

მცირე მინაწერის შემდეგ ზიამეთის მფლობელია ჰამიდი, რომელსაც ეკუთვნის ორი სოფელი და ერთი სათესველი. ესენია: სოფელი ქვემო ზებითი 10000 ახჩა შემოსავლით და ზემო ზებითი 500 ახჩა შემოსავლით. სათესველი ახალთია ახლოსაა სოფელ ზებილთან, შემოსავალია 500 ახჩა. საერთო ჯამია 11000 ახჩა; ასევეა ზიამეთზეც, გარკვეული მინაწერების შემდეგ. ზიამეთის მფლობელ მუსტაფას განკარგულებაშია ორი სოფელი. სოფელი ვასქული 8045 ახჩათი და სოფელი აგარა 13715 ახჩა შემოსავლით.

ზიამეთის მფლობელ მეჰმედს ერთი სოფელი ექვემდებარება: სოფელი ვირან ჭაჭარაქი 3000 ახჩა შემოსავლით.

თიმარებისა და ზიამეთების გარკვეული გადაადგილების შემდეგ ზიამეთის მფლობელ ალის განკარგულებაშია ოთხი სოფელი. ესენია: ჯავრუი, 6000 ახჩა შემოსავლით. სათესველი საბუქეთი, შემოსავალია 2000 ახჩა. სათესველი აჰლალიქი, შემოსაელით 1000 ახჩა. სოფელი აგარა 13715 ახჩა შემოსავლით, საერთო ჯამია 14000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია ბადი. მის განკარგულებაშია ხუთი სოფელი. ესენია: სოფელი გორგათუბანი, მეორე სახელია მასეთუბანი, შემოსავალია 3500 ახჩა. სოფელი ოჯინი 4500 ახჩა

შემოსავლით. სოფელი ქურდშაჰი, 2500 ახჩა შემოსავლით, სოფელი ბაღალითი 5000 ახჩა შემოსავლით, სოფელი ოქილი 500 ახჩა შემოსავლით. საერთო ჯამია 14000 ათასი ახჩა.

ზიამეთის მფლობელ ველი ალის ძეს ერთადერთი სოფელი გააჩნია. ესაა სოფელი აირა, 5000 ახჩა შემოსავლით და სათესველი საღურსიზურ სანელუ, 1000 ახჩა შემოსავლით. თიმარი ეკუთვნის როსტევანს, ორი სოფლით. ესენია: სოფელი გურგი დემივე, შემოსაელით 8000 ახჩა. სოფელი დირნიუნი 3000 ახჩა შემოსავლით. მომდევნო თიმარის მფლობელს ეკუთვნის სამი სოფელი. აქვეა მინაწერიც, პირველი სოფელია ოდიში, მისი შემოსავალია 7000 ახჩა. შემდეგი სოფელია ბორჯომი, აქვეა მეორე ბორჯომი, მისი შემოსავალია 12000 ახჩა. მას მოსდევს სოფელი ზემო მამაჰჯილი იგი ახლოსაა ქვემო მამაჰჯილთან, შემოსავალია 10000 ახჩა. საერთო ჯამია 17000 ახჩა. აქვეა კიდევ ერთი თიმარი იბრაჰიმისა, ზემო მამაჰჯილითა და ქვემო მამაჰჯილით, შემოსავალია 10000 ახჩა.

შემდეგ საუბარია მცირე მინაწერზე და ველის თიმარზე, რომელსაც ერთი სოფელი ეკუთვნის, ესაა ზემო მამაჰჯილი, რომელიც ახლოსაა ქვემო მამაჰჯილთან, მისი შემოსავალია 10000 ახჩა. მეორე თიმარის მფლობელსაც ერთი სოფელი გააჩნია. ესაა სოფელი ბუბანი, მისი შემოსავალია 8165 ახჩა. მომდევნო თიმარი ეკუთვნის ვინმე ჰასანს, მისი სოფლის სახელია ქავდიდი 4000 ახჩა შემოსავლით. აქვეა მეორე სოფელი ბოსთანი 5845 ახჩა შემოსავლით. ბოლოს მას მოსდევს სოფელი ქენადილი, 10000 ახჩა შემოსავლით.

ვინმე ნასუჰის განკარგულებაშია რამდენიმე სოფელი. ესენია: სოფელი კავბასუ – შემოსავლით 19000 ახჩა. სოფელი ქაქლანური, 13000 ახჩა შემოსავლით, სოფელი ზემო და ქვემო ხუჯითი 8000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ბოსთანი, 5848 ახჩა შემოსავლით, სოფელი სურინი 4100 ახჩა შემოსავლით. ჩამოთვლილია სოფლები, ესენია: სოფელი ქაქლიური 13000 ახჩა შემოსავლით, სოფელი ჯუჯუთი შემოსავლით 3000 ახჩა, სოფელი ბაიქილი, შემოსავლით 5000 ახჩა. საერთი ჯამია 15000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთი მუსტაფას მფლობელობაშია. აქვეა დასახელებული ხუთი სოფელი. ესენია: სოფელი ამირბა, შემოსავლით ჭაჭარაქის დაქვემდებარებაში 15000 ახჩა. სოფელი სანლია 1000

ახჩა შემოსავლით. სოფელი ჰაქირა ახლოსაა სათესველ საკურასთან, შემოსავლით 3000 ახჩა. სოფელი ბაგაბარი, ექვემდებარება აწყურს, შემოსავლით 3000 ახჩა.

შემდეგ საუბარია ასპინძის ლივაზე, მასში შემავალ სოფლებზე და მათზე გაწერილ მთელ რიგ გადასახადებზე. სოფელი ასპინძის ციხის რაბათი. შემოსავალია 25000 ახჩა. სოფელი გომიეს ციხის რაბათი, 14000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ოთა 23000 ახჩა შემოსავლით. სოფელი კაბუბადი, შემოსავლით 10000 ახჩა. სოფელი ქვემო ალთუხი, შემოსავლით 5000 ახჩა. სოფელი ჰანობითი 10000 ახჩა შემოსავლით, გადასახადი მდინარეში დაჭერილ თევზზე. მდინარე მტკვარზე არსებული სოფელი მანილა საზღვარზეა სოფელ რუსიასთან, შემოსავალია 2000 ახჩა.

ახალციხის ლივაში: სოფელი მონასტერი ახლოსაა სოფელ ასმარასთან, ექვემდებარება აწყურს, შემოსავალია 5000 ახჩა.

ახალქალაქის ლივაში: სოფელი გარდაგანა ექვემდებარება აკშეჰირს. შემოსავალია 10000 ახჩა. გადასახადი თევზზე 10000 ახჩა შემოსავლით. საერთო ჯამია 30000 ახჩა.

პეტრეს ლივაში: სოფელი კომასი, 10000 ახჩა შემოსავლით, სოფელი სუხალიდა შემოსავლით 6000 ახჩა, აქვე ჩამოთვლილია გადასახადები ფოცხვერის ტყავზე გადასახადი წელიწადში 12000 ახჩაა. გადასახადი სამღებროებზე – წელიწადში 15500 ახჩა. შემოსავალი შავ დამღაზე და იჰთისაბიეზე – 13500 ახჩაა. შემოსავალი ჯიზია მურახხასიეზე, ზიამეთებსა და თავისუფალ თიმარებზე, თითოეულ სახლზე 2-2, წელიწადში 6000 ახჩა. გადასახადი ცხვარზე ხსენებული ლივის ხასებზე, ზიამეთებსა და სიფაჰების თიმარებზე – წელიწადში 8000 ახჩა. შემოსავალი იალაღებსა, სიფაჰების თიმარებსა და ზიამეთებზე – წელიწადში 6000 ახჩა. ნახევარი ბადჰავა თავისუფალ თიმარებსა, ზაიმებსა და თიმარებზე, არუსანეებზე – წელიწადში 12000 ახჩა, ჯამია 83000 ახჩა.

შემდეგ ზიამეთებში ოთხი სოფელია წარმოდგენილი. ესენია: სოფელი ონბურა – შემოსავლით 11530 ახჩა. სოფელი კური, 6000 ახჩა შემოსავლით. სოფელი არსიჰი, შემოსავლით 2000 ახჩა. სოფელი მამარბითი, 1500 ახჩა შემოსავლით.

შემდეგი ზიამეთი მეჰმედისაა. სოფელი აგარა ახლოსაა

ჩაირუბანთან, შემოსავალია 16600 ახჩა. შემდეგი სოფელია ზირა, 7000 ახჩა შემოსავლით, საერთო ჯამია 23600 ახჩა. შემდეგი ზიამეთი ჰუსეინისაა, მისი ერთადერთი სოფელია ანდუსა, შემოსავლით 14000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია ისჰაკი. მისი სოფლებია ჯულისა, შემოსავლით – 3000 ახჩა. სოფელი დიბალა – შემოსავლით 8000 ახჩა. სოფელი კათკალაბი, შემოსავლით 500 ახჩა.

მომდევნო ზიამეთის სოფლებია: კადია, შემოსავლით – 10000 ახჩა. სოფელი ზემო აბივერა, 5000 ახჩა შემოსავლით, სოფელი ბუდანსაჰარა, შემოსავლით – 5000 ახჩა. საერთო ჯამია 20000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთი მაჰმუდისაა, მასში გაერთიანებულია სამი სოფელი, ესენია: სოფელი ამირა, 11000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ზემო ავსურა, შემოსავლით – 78000 ახჩა. სოფელი ჰანავითი, 10000 ახჩა შემოსავლით, შემდეგი ზიამეთი ეკუთვნის მეჰმედს. მის განკარგულებაშია სოფლები: სოფელი ჰარჯა, 500 ახჩა შემოსავლით. სოფელი ისქლულეთი 6500 ახჩა შემოსავლით. საერთო ჯამია 3500 ახჩა. შემდეგი ზიამეთი მურადისა, სოფელი ანდუმალა, 10000 ახჩა შემოსავლით. შემდეგი ზიამეთი უღურლუსია. მისი სოფლებია: ზემო ნუქიე, 2000 ახჩა შემოსავლით, სოფელი ირკუდა 3000 ახჩა შემოსავლით. შემდეგი სოფელია კუთი, 1000 ახჩა შემოსავლით, სოფელი ჯურე 2000 ახჩა შემოსავლით. ზიამეთის მფლობელია ელია. მის განკარგულებაშია სოფლები: ვარბილი, შემოსავალი 13500 ახჩა. ქვედა ოსურა, 12000 ახჩა შემოსავლით. სათესველი სურჰა. მეორე სახელია ქილისა სურა, 600 ახჩა შემოსავლით.

შემდეგია ზაალის ზიამეთი, ერთი სოფლით – ნარსიხო, შემოსავალია 4000 ახჩა. შემდეგ საკმაოდ დიდი მინაწერია. მერე ისევ ასპინძის ნაჰიეა ხსენებულ ლივაში. თიმარი რამაზანისაა, სოფელი ანდუსა, შემოსავლით 9500 ახჩა.

შემდეგი თიმარის მფლობელია შაბანი ალის ძე. მისი სოფლებია: ირკუდა – შემოსავლით 2999 ახჩა. სოფელი საკვიდენითი 3000 ახჩა შემოსავლით. საერთო ჯამია 5999 ახჩა. შემდეგი თიმარი მეჰმედ სულეიმანის ძისაა. მისი სოფლებია: რუსთადი ახლოსაა ორსთოი შიქარ მაჰისთან, მისი შემოსავალია 6000 ახჩა. სოფელი ირკუდა – შემოსავლით 2000 ახჩა. საერთო ჯამია 8000 ახჩა.

შემდეგი თიმარი სულეიმან აბდულაჰის ძისაა. მისი სოფლებია: სოფელი საკუდათილი, 6000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ირკუდა, 3600 ახჩა შემოსავლით. სოფელი ზემო ბუქიე, 7066 ახჩა შემოსავლით. სოფელი ოქან ქევისი, ახლოსაა სოფელ ღარიესთან, 1000 ახჩა შემოსავლით.

შემდეგი თიმარის· მფლობელია ომერ ალის ძე. მისი სოფელია დუმალა, 4000 ახჩა შემოსავლით.

მეჰმედ აბდალაჰის ძე, მისი სოფელია: საკუდათილი 4000 ახჩა შემოსავლით, აქეა თიმარის მფლობელი როსტომი, მისი სოფელია: ისქლულეთი, 3500 ახჩა შემოსავლით. მომდევნო თიმარის მფლობელია ბადი, რომლის სოფელია აღალთებილი, შემოსავლით 12000 ახჩა. შემდეგი თიმარი ეკუთვნის იაკუბს, მისი სოფელია ჰარვარილი, 3500 ახჩა შემოსავლით. ბოლო თიმარია ვინმე აბდალაჰ ჰაირადდინის ძისა, მისი სოფელია მილასისხო, 7000 ახჩა შემოსავლით.

შემდეგ საუბარია ხერთვისის ლივაზე. ჩამოთვლილია ბაზვანის ხასები ხსენებულ ლივაში, ხერთვისის ნაჰიე. სოფელი ხერთვისის ციხის რაბათი, 25000 ახჩა შემოსავლით, სოფელი ფევარისა 10000 ახჩა შემოსავლით.

ტყიანი ჯავახეთის ნაჰიე ხსენებულ ლივაში.

სოფელი ორჰავა, 20000 ახჩა შემოსავლით, სოფელი ფურუნიე, შემოსავლით – 10000 ახჩა. სოფელი არანისი, 25000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ჰურსიხი 15000 ახჩა შემოსავლით. სოფელი დესიხური, 3000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ბულითი, შემოსავლით 4000 ახჩა. სოფელი ჯურსიე, 5500 ახჩა შემოსავლით. სოფელი ზემო ჰამდიბადი, 10000 ახჩა შემოსავლით. შემოსავალი ბეითალმალზე, თუ 10000-ზე ნაკლებია, ფოცხვერის ტყავზე აიღება წელიწადში 10000 ახჩა.

შემოსავალი შავ დამღაზე და იჰთისაბიეზე – წელიწადში 6000 ახჩა.

შემოსავალი ჯიზია მურახხასიე გაბრანზე, თავისუფალ თიმარებზე, ზიამეთებზე – თითოეულ სახლზე 2-2 ახჩა, წელიწადში 6000 ახჩა.

გადასახადი ცხვარზე ხსენებულ ხასებზე, სიფაჰებზე,თიმარებსა და ზიამეთებზე – წელიწადში 8000 ახჩა.

შემოსავალი იალაღებსა, სიფაჰების თიმარებსა და ზაიმებზე –

წელიწადში 5000 ახჩა.

ნახევარი ბადჰავას, სიფაჰების თიმარების, არუსანესა და თავისუფალ თიმართა და ზაიმთა წელიწადში 15000 ახჩა.

შემდეგ საუბარია სოფელ ხულუსზე, რომლის შემოსავალია 2000 ახჩა. სოფელი შვადლუ, სოფელი ობანი — 1500 ახჩა.

სოფელი ფიალე, ექვემდებარება ხერთვისს — 12000 ახჩა. სოფელი ოკირლუ — 2000 ახჩა.

შემდეგ საუბარია ჰუსეინის ზიამეთზე, რომელიც მირალაის ხსენებულ ლივაშია, მასში შედის სოფლები: ვარციხე, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავლით 8000 ახჩა; სოფელი გული — 12000 ახჩა. სოფელი ქილისა სუნდი — 3000 ახჩა.

შემდეგ ზიამეთზე დიდი მინაწერია, თიმარებისა და ზიამეთების გადანაწილების თაობაზე სხვადასხვა მიზეზთა გამო. ბოლოს საუბარია ზიამეთის მფლობელ როსტომზე, რომელიც ფლობს რამდენიმე სოფელს. ეს სოფლებია: სოფელი ბამიუდი, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავლით 1500 ახჩა. სოფელი ჩანდო, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს — 15000 ახჩა. სოფელი ხურჯაჰილი, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 9000 ახჩა.

რამდენიმე მინაწერის შემდეგ კვლავ განხილულია სულეიმანის ზიამეთი, მის განკარგულებაშია სამი სოფელი. ესენია: სოფელი დილისქა, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 15000 ახჩა. სოფელი ქუზუსუბანი, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 6997 ახჩა. სოფელი ჩანხა, შემოსავალია 1200 ახჩა.

შემდეგ საუბარია ჰასანის ზიამეთზე. მას ეკუთვნის ორი სოფელი: სოფელი ქუნსა, ექვემდებარება ხერთვისს, 10000 ახჩა შემოსავლით. სოფელი მარდაგანი 11000 ახჩა შემოსავლით.

შემდეგ საკმაოდ დიდი მინაწერია ზიამეთზე, რომლის მფლობელია აჰმედი, იგი ფლობს სამ სოფელს. ესენია: სოფელი არდალა, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 12000 ახჩა. სოფელი ქვემო ალისბანი — 10999 ახჩა შემოსავლით. სოფელი ორჯუნიე, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 8000 ახჩა.

სოფელი ბერდენიე ექვემდებარება ხერთვისს — 16000 ახჩა. სოფელი აჰვა, შემოსავლით 5000 ახჩა. სოფელი სიხლილი, შემოსავლით 4000 ახჩა. შემდეგი ზიამეთი ეკუთვნის გიორგი ბასილის ძეს. მისი სოფლებია: სოფელი ასპინძა, ექვემდებარება

ხერთვისს, შემოსავალია 14200 ახჩა. სოფელი ადისქა ახლოსაა სოფელ ასბიესთან, შემოსავალია 4500 ახჩა. სოფელი მუქერესე, ახლოსაა სოფელ ადიბანთან, ექვემდებარება ბუმდერეს, შემოსავალია 2000 ახჩა.

ზიამეთის მფლობელ მურადს გააჩნია ერთადერთი სოფელი აგაინ, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 10000 ახჩა.

მიწის მფლობელობის საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე მინაწერის შემდეგ მუსტაფას ზიამეთი სამი სოფლის მფლობელია. ესენია: სოფელი სუდროვანი, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 12000 ახჩა; სოფელი ქუნაქი, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 10000 ახჩა; სოფელი ოჯუნიე, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 2397. სათესველი დაბილი, შემოსავალია 1700 ახჩა.

მეჰმედის ზიამეთში სამი სოფელია: სოფელი ვანი, ექვემდებარება ბუდურას, სოფელი სვადბაღი, შემოსავალია 3000 ახჩა, სოფელი ბარსახო, შემოსავალია 4500 ახჩა.

შემდეგი ზიამეთი ეკუთვნის იუსუფ აბდალაჰის ძეს. მას სამი სოფელი გააჩნია: სოფელი ნურბაშირა, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 14000 ახჩა.

სოფელი აგვანი, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 5000 ახჩა. სოფელი ჯადუქი, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 2000 ახჩა.ზიამეთი ზაალისაა. მას სამი სოფელი აქვს: სოფელი ალაღასუბანი, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 14000 ახჩა. სოფელი დავინა, შემოსავალია 2000 ახჩა, სოფელი ბუდანა, შემოსავალია 10000 ახჩა.

ზიამეთის მფლობელი იბრაჰიმი მხოლოდ ერთადერთ სოფელს განაგებს: ესაა სოფელი ავლითი, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 8000 ახჩა. სათესველი ბავრად მულიქის შემოსავალია 1000 ახჩა.

ზიამეთის მფლობელი მეჰმედი ხუთი სოფლის მესაკუთრეა:
სოფელი დაქ ბალიღ მერჯივაქი, შემოსავალია 10000 ახჩა.
სოფელი თერქესირე, შემოსავალია 3065 ახჩა.
სოფელი ფარსახო, შემოსავალია 5000 ახჩა
სოფელი ზემო ბურუდა, შემოსავალია 2000 ახჩა.
სოფელი ქვედა ბურუდა, შემოსავალია 1165 ახჩა.

მცირე მინაწერის შემდეგ ზიამეთი ეკუთვნის ფერია აზალდინს. მას მხოლოდ ერთადერთი სოფელი გააჩნია — დადეში ექვემდებარება ხერთვისს, 10000 ახჩა შემოსავლით. უფრო ქვემოთ საკმაოდ მოზრდილი მინაწერია თიმარებისა და ზიამეთების თაობაზე, მათი მფლობელობის და სხვა საკითხებზე. ბოლოს ზიამეთის მფლობელია უმაღლესი სამეუფეო კარის ჩაუშთა ჩაუში — შაჰი, მის განკარგულებაშია ექვსი სოფელი. ეს სოფლებია: სოფელი საბუნითი ექვემდებარება ხერთვისს, 17500 ახჩა შემოსავლით, სოფელი ორმუზ ჯაირ აზ ბაღარა, 200 ახჩა შემოსავლით. სოფელი ზიღალ ბარღო, 3000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ბანა, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 12500 ახჩა. სოფელი ქვედა ხანჰასარი, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 5000 ახჩა. სოფელი ბერკულა სილი, 5000 ახჩა შემოსავლით.

ზიამეთის მფლობელ ვინმე ალის მხოლოდ ერთი სოფელი არგუდა ემორჩილება, იგი სათესველი დიქნადირია, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 9000 ახჩა. აქვეა სათესველი ბადრაგ მუქილი, 1000 ახჩა შემოსავლით. შემდეგი ზიამეთის მფლობელია აბდალფიკარი, მისი სოფელია სადლითუბანი, ექვემდებარება ხერთვისს, 8000 ახჩა შემოსავლით. ზიამეთი ეკუთვნის ვინმე მეჰმედს, მის მფლობელობაშია სამი სოფელი: სოფელი ანბისა, ექვემდებარება ხერთვისს, 3000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ბულდასახური ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 4500 ახჩა. სოფელი ქადსახო, 5999 ახჩა შემოსავლით. ზიამეთის მფლობელია ვინმე ელია, მისი სოფელია გოგია, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 15000 ახჩა. ზიამეთის მფლობელ აჰმედს ეკუთვნის ორი სოფელი. ესენია: სოფელი სადჯიმარი. ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, 6000 ახჩა შემოსავლით. მეორე სოფელია ბალითა, 8000 ახჩა შემოსავლით, ზიამეთის მფლობელ სულეიმანს ეკუთვნის სოფელი სახნა, 7000 ახჩა შემოსავლით. შემდეგი ზიამეთი ვინმე მურადიაა. მის მფლობელობაშია ერთი სოფელი მუჯაქანი, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, 5000 ახჩა შემოსავლით. მომდევნო ზიამეთი ოსმანისაა, სოფელი ზემო ბუზმარეთი, ექვემდებარება ბუზმარეთს, შემოსავალია 6000 ახჩა. ბოლოს ერთი სოფელი ბანა, რომელიც ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 12500 ახჩა.

შემდეგ საუბარია ხერთვისის ნაჰიეზე ხერთვისის ლივაში, მაჰმუდ

ალის ძის თიმარი, სოფელი ბულაღარია, 8000 ახჩა შემოსავლით. მეორე სოფელი ეკუთვნის ალის, მისი სოფელია ბალისა, 4000 ახჩა შემოსავლით. თიმარი ეკუთვნის ალაჰვერდის, მისი სოფელია ზღალ მარლუ, 4000 ახჩა შემოსავლით. თიმარი ბექირისა, სოფელი მელსუნრა, შემოსავალია 5000 ახჩა. შემდეგი თიმარის, ერთი სოფლის მფლობელია სახლითლი, 4000 ახჩა შემოსავლით. მას მოსდევს ასევე მინაწერიანი თიმარი ვინმე ჰუსეინისა, სოფელია გელსვირა, 3000 ახჩა შემოსავლით.

მუსტაფას თიმარის სახით ეკუთვნის ზღალ ბარგო, 1999 ახჩით და სოფელი შოლა, შემოსავლით – 10000 ახჩა.

გარკვეული მინაწერების შემდეგ განხილულია ტყიანი ჯავახეთი ხერთვისის ლივაში, მასში გაერთიანებულია ორი სოფელი: სოფელი ვარადანი, შემოსავლით 8000 ახჩა და სოფელი ზემო ალისბანი, შემოსავლით – 10500 ახჩა.

თიმარის მფლობელ მირზას განკარგულებაშია ორი სოფელი. ესენია: სოფელი ჯალღა, შემოსავლით – 7710 ახჩა და სოფელი სადიქი, შემოსავლით – 2956 ახჩა. შემდეგი თიმარის მფლობელია ვინმე ჰუსეინი, რომლის განკარგულებაშია სამი სოფელი. ესენია: სოფელი ჯობნა, შემოსავლით 4300 ახჩა. მეორე სოფელია ქორბულა, შემოსავლით – 3033 ახჩა. მესამე სოფელია სადლითუბანი, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 6000 ახჩა.

თიმარი ალისა, მის განკარგულებაშია ერთი სოფელი დერე, შემოსავლით – 5000 ახჩა. მეორე თიმარი ეკუთვნის მუჰარემს, მისი სოფელია ქილთუბანი, შემოსავალია 3000 ახჩა. აქვეა მეორე სოფელი დიდბანი, შემოსავალია 5000 ახჩა. შემდეგი თიმარის მფლობელია მუსა, რომელსაც ეკუთვნის სოფელი მურჯი, შემოსავლით –4000 ახჩა. შემდეგ მცირე მინაწერია. თიმარი ეკუთვნის რიზვან აბდალაჰის ძეს. სოფელია ჰადი ჯვარი, შემოსავლით – 3000 ახჩა. მეორე სოფელია დიგერ დემირე, შემოსავალია 1500 ახჩა.

მცირე მინაწერის შემდეგ თიმარის მფლობელია ოსმანი, რომელიც ფლობს სოფელ ბუდალს, შემოსავლით – 3500 ახჩა. იქვეა თიმარის მფლობელი სულეიმანი სოფელი ბახოთი, შემოსავლით – 2000 ახჩა. აქვეა მეორე სოფელი ახთია, შემოსავლით – 4000 ახჩა.

შემდეგი თიმარია ყილიჩ ხოსროს ძისა, მისი სოფლებია: ოლდანი, შემოსავალია 7000 ახჩა. სოფელი ვარქადი, შემოსავლით – 3000

ახჩა, შემდეგი თიმარის მფლობელია სარუხანი. მისი სოფლებია მუკარასრა, შემოსავლით – 3834 ახჩა.

სოფელი მურაჯი, შემოსავლით 2666 ახჩა. სოფელი კვალი, შემოსავლით – 3500 ახჩა.

თიმარი სულეიმან აბდალაჰის ძისა. მისი თიმარია ერთი სოფელი – სახია, შემოსავლით – 5500 ახჩა. იქვეა აჰმედის თიმარი, მისი სოფლებია: ქობლია, შემოსავლით – 10000 ახჩა; სოფელი ქუშასრა, შემოსავალია 2000 ახჩა; სოფელი მალჰაზირი, შემოსავლით – 3333 ახჩა.

მომდევნო თიმარი მუსტაფასია, მისი სოფელია გუნბადრა, შემოსავლით 6500 ახჩა. თიმარი შაბანისა, მისი სოფლებია: სახნა, შემოსავლით – 1500 ახჩა. სოფელი ზეთუბანი, 1500 ახჩა შემოსავლით. სოფელი თუმათურსაღი, 1000 ახჩა შემოსავლით. შემდეგი თიმარი აბდურაჰიმისაა, მისი სოფელია სიდიქი, 4000 ახჩა შემოსავლით. მომდევნო თიმარის მფლობელია ოსმანი. მის მფლობელობაშია სოფელი ლუმა თურსიჰი, 9500 ახჩა შემოსავლით. სოფელი მურჯია, 2500 ახჩა შემოსავლით. სოფელი ლუმა თურსიჰი, 95000 ახჩა შემოსავლით. სოფელი მურჯია 2500 ახჩა შემოსავლით. ზემოთ დასახელებული ორი თიმარი ზუსტად ერთმანეთის ანალოგიურია, შეიძლება ითქვას, გამეორებაა. მომდევნო თიმარი ქემივან აბდალაჰის ძისაა. მისი სოფელია საბიქი, 4999 ახჩა შემოსავლით. მას მოსდევს თიმარი დაუდისა სოფელი მიჯნალი, მისი შემოსავალია 6000 ახჩა. შემდეგი თიმარი მეჰმედისაა, სოფელი კვლავ მურჯია, 2000 ახჩა შემოსავლით. შემდეგი სოფელია აგარნია, 2500 ახჩა შემოსავლით, მუსტაფას თიმარია სოფელი ბუქინა სახური, 3000 ახჩა შემოსავლით, ალის თიმარი, სოფელი ქადლუ 11000 ახჩა შემოსავლით, სოფელი გურდიბანი, 1500 ახჩა შემოსავლით.

აქვე განხილულია ბუზმარეთის ნაჰიე ხერთვისის ლივაში, თიმარი მუჰარემისა, მის განკარგულებაშია ხუთი სოფელი. ეს სოფლებია: ზემო ბუზმარეთი, 2500 ახჩა შემოსავლით. ქვემო ბუზმარეთი, შემოსავლით – 4835 ახჩა. სოფელი შუა ბუზმარეთი, შემოსავლით – 3500 ახჩა. სოფელი კუსა, შემოსავლით – 3165 ახჩა. სოფელი ქობესეთი, 2000 ახჩა შემოსავლით. შემდეგ თიმარზე არაერთი მინაწერია, თიმარის მფლობელია მუსტაფა. მის განკარგულებაშია ორი სოფელი. ესენია: სოფელი დუნდი, შემოსავლით – 5500 ახჩა. სოფელი დაუდუბანი,

ექვემდებარება ხერთვისს, 2000 ახჩა შემოსავლით. შემდეგი თიმარი მაჰმუდ აბდულაჰის ძისაა, მისი სოფლებია: შუა კუდურა, შემოსავლით – 3000 ახჩა და სოფელი დადირ უბანი, ექვემდებარება ხერთვისს, შემოსავალია 3000 ახჩა. შემდეგი თიმარის მფლობელია აჰმედ ბაირამის ძე, მისი სოფელია კურდასილი, ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, შემოსავალია 4000 ახჩა; შემდეგ საუბარია ახალქალაქის ლივაზე. ჩამოთვლილია ახალქალაქის მირლივას მეჰმედ ბეგის ხასები. აქვე საუბარია ლუმქის ნაჰიეზე ხსენებულ ლივაში. სოფელ ლუმქის ციხის რაბათი, შემოსავალია 23000 ახჩა. სოფელ ქურჭი დესირე, 3000 ახჩა შემოსავლით. სოფელი დანბა, 6000 ახჩა შემოსავლით. შემდეგ საუბარია აკშეჰირის ნაჰიეზე ხსენებულ ლივაში: სოფელი დასანი, 19000 ახჩა შემოსავლით. სოფელი გელსირე შემოსავალია 14500 ახჩა. სოფელი ქუმარდი, შემოსავალია 25000 ახჩა. სოფელი ფერვანე, შემოსავალია 10000 ახჩა. სოფელი ქუთასლა, შემოსავალია 4000 ახჩა. სოფელი შავრადა, შემოსავლით – 6000 ახჩა. სოფელი კარკადი შემოსავალია 13000 ახჩა. შემოსავალი ბეითალმალიზე თუ 10000 ნაკლებია, გადახდება ფოცხვერის ტყავზე, წელიწადში – 10000 ახჩა. შემოსავალი სამღებროებზე – 16000 ახჩა, შავ დამღაზე და იჰთისაბიეზე – 6000 ახჩა. ჯიზია მურახხასიე გაბრანზე, პატიოსან თიმარებსა და ზიამეთებზე. თითოეულ სახლზე 2-2 ახჩა, წელიწადში – 8000 ახჩა. გადასახადი ცხვარზე, ციხეების სიფაჰების, თიმარებსა და ზიამეთებზე თავიანთ ხასებზე, წელიწადში 7000 ახჩა. შემოსავალი იალაღებზე სიფაჰიების თიმარებსა და ზიამეთების იალაღებზე, წელიწადში 8000 ახჩა. ნახევარი ბადჰავასა და არუსანეს გადასახადზე თიმარების სიფაჰებზე, პატიოსან თიმარებსა და ზაიმებზე, წელიწადში – 17000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია მუსტაფა, რომელსაც ეკუთვნის სოფელი ქადრამიდი, რომელიც ექვემდებარება ნიალისყურს, შემოსავალია 30000 ახჩა.

ალი ჰასან ბეგის ძის ზიამეთის მფლობელობაშია რამდენიმე სოფელი. ეს სოფლებია: სოფელი ალა, შემოსავლით 2500 ახჩა. სოფელი გარა საბირა, შემოსავლით – 12000 ახჩა. სოფელი ქარბილი, 2500 ახჩა შემოსავლით. სოფელი ანბასუბანი, ექვემდებარება თომექს შემოსავალია 2000 ახჩა. სოფელი შაკამო, ექვემდებარება აკშეჰირს, 6500 ახჩა შემოსავლით.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია ალი აბდალაჰის ძე. მას ეკუთვნის ოთხი სოფელი. ესენია: სოფელი აბიდარი, ექვემდებარება ბილკურს, შემოსავალია 9000 ახჩა. სოფელი გოქი, 9000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ღურმაქი, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავლით – 5000 ახჩა. სოფელი ჰასავურთა, ექვემდებარება ბიასხოს, შემოსავალია 6000 ახჩა. ზიამეთის მფლობელია მუსტაფა, მას ეკუთვნის რამდენიმე სოფელი, ესენია: სოფელი აბთიე, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 10000 ახჩა. სოფელი ბადიე, შემოსავალია 5000 ახჩა. სოფელი დიბარა ვარდიე, ექვემდებარება თომექს შემოსავლით – 2400 ახჩა. სოფელი სვალ ბილი, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავლით 3099 ახჩა. სოფელი საქუდრიე, შემოსავალია 2000 ახჩა. სოფელი ვარდიე, ექვემდებარება თომექს, 2000 ახჩა შემოსავლით. შემდეგ საკმაოდ დიდი მინაწერია 1021 წლისა.

შემდეგი ზიამეთი ალისაა, მას ეკუთვნის ოთხი სოფელი. ესენია: სოფელი დვირა ექვემდებარება თომექს, 10000 ახჩა შემოსავლით, სოფელი ღუბაირა შემოსავლით – 6000 ახჩა. სოფელი აგარა, ექვემდებარება ნიალისყურს, შემოსავლით 7000 ახჩა. სოფელი ბიაქილი 11000 ახჩა შემოსავლით, სათესველი ხასბიე, შემოსავლით – 1000 ახჩა.

ვრცელი მინაწერის შემდეგ ზიამეთი ეკუთვნის მეჰმედს, მის მფლობელობაშია ექვსი სოფელი. ეს სოფლებია: სოფელი ქილისხა, ექვემდებარება ბაისყურს, შემოსავლით 9680 ახჩა. სოფელი სახალია, ექვემდებარება აკშეჰირს, 4000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ბაქლიალი, 2000 ახჩა შემოსავლით. სოფელი შუა მურჯახეთი შემოსავლით 3000 ახჩა. სოფელი მცირე მურჯახეთი, შემოსავლით 2000 ახჩა. სოფელი ქურსახლო, 1500 ახჩა შემოსავლით.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია მაჰმუდ ლუთფულაჰის ძე, მას ეკუთვნის ორი სოფელი. სოფელი დიქასარა, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 13000 ახჩა და სოფელი ქილქამი, შემოსავალია 7000 ახჩა.

მუსტაფას ზიამეთის მფლობელობაში შედის სამი სოფელი. ესენია: სოფელი ჩულიდი, ექვემდებარება ნიალისყურს, 14000 ახჩა შემოსავლით, სოფელი სარქილი და ჩავდალა 35000 ახჩა შემოსავლით, სოფელი დარიე, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავლით – 1500 ახჩა.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია ვინმე დეჯილი, მის მფლობელობაში შედის ექვსი სოფელი. ესენია: სოფელი ორმანა, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 5000 ახჩა. სოფელი მალაქლითი, შემოსავალია 3500 ახჩა. სოფელი გონდიდი, შემოსავალით – 2500 ახჩა. სოფელი გაბრალი 3000 ახჩა შემოსავლით, სოფელი დუქა, შემოსავლით 4000 ახჩა, სოფელი შიქარ მაჰი, საჰირლა გუნი, 3500 ახჩა შემოსავლით.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია ვინმე ხალილი, მისი სოფელია ოლდანა. აქვეა სოფელი ვასქული, ექვემდებარება თომექს, შემოსავალია 6500 ახჩა. მცირე მინაწერის შემდეგ ზიამეთის მფლობელია მეჰმედი. იგი სამეუფეო დივანის საქათიბოს შეგირდია. მის მფლობელობაშია 12 სოფელი. ესენია: სოფელი ქვედა ხოსბიო, ცალკე დასახლებული პუნქტია, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 5490 ახჩა. სოფელი ქელქადი, შემოსავალია 7000 ახჩა. სოფელი მცირე კუდანიე, 3500 ახჩა შემოსავლით. სოფელი ელმალუ, 3000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ბაჰირ ქეინ, შემოსავალია 500 ახჩა. სოფელი ადანლურია, ექვემდებარება თომექს, შემოსავალია 3000 ახჩა. სოფელი ასბიო, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 4000 ახჩა. სოფელი ქანბალი, ექვემდებარება ნიალისყურს. შემოსავალია 1500 ახჩა. გვალი ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 500 ახჩა. სოფელი აკმასისვანი, ექვემდებარება ნიალისყურს, შემოსავალია 500 ახჩა. სოფელი დამსქული, ექვემდებარება თომექს, შემოსავალია 16660 ახჩა. სოფელი დისქული, შემოსავალია 2000 ახჩა. ჯამი 2000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია მეჰმედი. მას მხოლოდ ერთი სოფელი ეკუთვნის. ესაა სოფელი ოქამი, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 20000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთი ეკუთვნის ისმაილ აბდალაჰის ძეს. მის მფლობელობაშია ხუთი სოფელი. ესენია: სოფელი დიდი არქანი, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 7000 ახჩა. სოფელი საქუდრია, 1750 ახჩა შემოსავლით. სოფელი ბუქრია, 2250 ახჩა შემოსავალით. სოფელი ქნალითი, ექვემდებარება თომექს შემოსავლით 3000 ახჩა. სოფელი ჯავარა ექვემდებარება ნიალისყურს შემოსავლით 6000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთი ეკუთვნის უმაღლესი სამეუფეო კარის ჩაუშთა

ჩაუშს იოსკას. მისი სოფელია დევილიე, ექვემდებარება ნიალისყურს, შემოსავალით – 8000 ახჩა. სოფელი ბარსახანი, ექვემდებარება თომექს, 8000 ახჩა შემოსავლით.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია მეჰმედი, ოთხი სოფლით. პირველი სოფელია დიქასარა, ექვემდებარება აკშეჰირს, 4500 ახჩა შემოსავლით. შემდეგია სოფელი ქელსაჰა, ექვემდებარება ნიალისყურს, 4500 ახჩა შემოსავლით. სოფელი ალბასუბანი, ექვემდებარება თომექს, შემოსავალია 1500 ახჩა. სოფელი ვარსახო შემოსავლით – 5832 ახჩა. საერთო ჯამია 16332 ახჩა.

ზიამეთის მფლობელია ისჰაკ რამაზანის ძე. მას ოთხი სოფელი ეკუთვნის. ესენია: სოფელი გურჯი, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 8000 ახჩა. სათესველი დუდგამი, შემოსავალია 500 ახჩა. სოფელი ვარდიე, ექვემდებარება თომექს, შემოსავალია 2000 ახჩა. სოფელი არგარა, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 2000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია კილიჩი, მის განკარგულებაშია სოფელი ჰაჩაქი, ექვემდებარება თომექს, შემოსავალია 45 ახჩა. სათესველი ქუქაშეთი, შემოსავალია 500 ახჩა.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია სადულაჰი. მის განკარგულებაშია ორი სოფელი. ესენია: დარბილი, ექვემდებარება ნიალისყურს, შემოსავალია 14365 ახჩა. მეორე სოფელია აგარა, შემოსავლით – 7000 ახჩა.

მომდევნო ზიამეთი ეკუთვნის ჰამიდს, სოფელი ამბუდი ექვემდებარება ბიასკურს, შემოსავალია 9000 ახჩა. შემდეგი ზიამეთი მეჰმედისაა, მისი სოფელია მამანილი, ექვემდებარება ნიალისყურს, შემოსავალია 4500 ახჩა.

კარა თექინის ზიამეთში შედის სოფელი ქუდსახო, ექვემდებარება ნიალისყურს, 16500 ახჩა შემოსავლით. შემდეგი ზიამეთი ეკუთვნის ქათიბ იუსუფს. მისი სოფელია ქარბარა და ბადიე, ექვემდებარება სოფელ აზდერეს, შემოსავალია 500 ახჩა.

შემდეგი ზიამეთი მუსტაფას მფლობელობაშია. მას ეკუთვნის ორი სოფელი. ესენია: სოფელი ქუდასა, ექვემდებარება ნიალისყურს, შემოსავლით 10099 ახჩა. სოფელი ადლუ ჩილდირჰას შემოსავალია 3000 ახჩა.

შემდეგი ზიამეთი სულეიმანისაა, მისი სოფლებია დიდი ხოდანიე

სათესველითურთ, თაჰმიეთი და ჩავდარანი, ექვემდებარება აკშეჰირს. შემოსავალია 10000 ახჩა. სოფელი ალაქი, შემოსავალია 1150 ახჩა. სოფელი მაჰი ნეჰრ, დიდი ზავდამი, შემოსავალია 150 ახჩა.

შემდეგი ზიამეთის მფლობელია ჰაჯი ყული, რომელსაც ეკუთვნის სოფელი დარიე, იგი ექვემდებარება აკშეჰირს, ჯამი 2000 ახჩა.

სოფელი მცირე ნავდარა, შემოსავალია 8000 ახჩა. საერთო ჯამია 10000 ახჩა. შემდეგი ზიამეთის მფლობელია მეჰმედი. მისი სოფელია ბულადირი, ექვემდებარება თომექს, შემოსავალია 2000 ახჩა. ზიამეთი ხერთვისის მირალაის ჰუსეინისაა. მისი სოფელია ბადრა. ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 4000 ახჩა. შემდეგი ზიამეთის მფლობელია შეიხი ჩაუში. მისი სოფელია: ქვედა ორლაქა, ექვემდებარება ნიშაბურს, შემოსავალია 13000 ახჩა, სოფელი ზემო ორლაკა, შემოსავალია 7000 ახჩა.

შემდეგ წარმოდგენილია ნიალისყურის ნაჰიე ახალქალაქის ლივაში. ხსენებული ლივის სერასქერის ფერჰადის თიმარი. მას ოთხი სოფელი აქვს. ესენია: დილგერი, შემოსავალია 2000 ახჩა. სოფელი ჩურაგილი, ექვემდებარება თომექს, შემოსავალია 1500 ახჩა. სოფელი სილადხო, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 3000 ახჩა. სოფელი დარბე, შემოსავალია 1000 ახჩა. მუსტაფას თიმარი წარმოდგენილია სამი სოფლით. ესენია: სოფელი მამუჯითი, შემოსავალია 6300 ახჩა. იალაღი საულა შემოსავლით – 700 ახჩა. სოფელი ბუდესიმლა ექვემდებარება აკშეჰირს. შემოსავალია 1000 ახჩა. საერთო ჯამია 8000 ახჩა.

შემდეგი თიმარი ეკუთვნის ჰუსეინ აბდალაჰის ძეს. მისი თიმარია, სოფელი მასუმი, შემოსავლით 4600 ახჩა. სოფელი ქენჩი შემოსაელით – 3000 ახჩა. შემდეგი თიმარი ეკუთვნის კაიკს, მისი სოფელია ქუმი, შემოსავალია 4000 ახჩა.

თანამონაწილეობის პრინციპით თიმარის მფლობელები არიან მუსტაფა და ყაფლანი. სოფელი ქუმი, შემოსავალია 5000 ახჩა. სოფელი გენჩი, შემოსავალია 1000 ახჩა. შემდეგი თიმარის მფლობელია აჰმედ ჰუსეინის ძე. მისი სოფელია: ბიანილი, შემოსავალია 5000 ახჩა. სოფელი ვასქული, შემოსავალია 16660 ახჩა. სოფელი დინქითლი, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 2000 ახჩა.

შემდეგი თიმარის მფლობელია მუსტაფა. მისი სოფელია ბიანილი. მისი შემოსავალია 5000 ახჩა. სოფელი ვანისქვაბი, ექვემდებარება

ბუნიქს, შემოსავალია 16660 ახჩა. სოფელი დინქელი, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 2000 ახჩა.

აკშეჰირის ნაჰიე ახალქალაქის ლივაში.

თიმარი ოსმანისა სოფელი ღუდ ბეგი, შემოსავლით 700 ახჩა.

შემდეგი თიმარის მფლობელია იუსუფ ჰამზას ძე, მისი სოფელია მცირე ხოდანიე, 4000 ახჩა შემოსავლით, გარკვეული მინაწერების შემდეგ მოტანილია თიმარი მეჰმედისა, რომელიც ფლობს ორ სოფელს. ესენია: სოფელი არბანა, 7000 ახჩა შემოსაელით და სოფელი ჩუდანი 5000 ახჩა შემოსავლით. შემდეგი თიმარის მფლობელია მეჰმედ გილალის ძე, რომლის სოფელია ხულქუმი, 6500 ახჩა შემოსავლით. შემდეგი თიმარი მაჰმუდისაა. მისი სოფელია აბული, 10000 ახჩა შემოსავლით. მეორე სოფელია ჯაბარალი, 3000 ახჩა შემოსავლით.

აჰმედ გილალის ძეს ეკუთვნის სოფელი ბექლედიქი, შემოსავალია 5000 ახჩა. სოფელი დიდი დიდჩაირი, შემოსავლით – 9700 ახჩა. მომდევნო სოფელია ჯუქლუმი 2500 ახჩა შემოსავლით. მას მოსდევს სოფელი ბექლედიქი, შემოსავლით – 3000 ახჩა.

შემდეგი თიმარის მფლობელია მუსტაფა. მისი სოფლებია დიდი მეჯდია, 8000 ახჩა შემოსაელით. შემდეგი სოფელია აჰქარა, 2500 ახჩა შემოსავლით, სოფელი შილადხონა 2000 ახჩა შემოსავლით.

ჩილდირის დივანის ჩაუშთა ჩაუშის მეჰმედის თიმარი. სოფელი ქუმი, შემოსავალია 6000 ახჩა. სოფელი დულქუმი, 3000 ახჩა შემოსაელით. მას მოსდევს თიმარი მეჰმედ აბდალაჰის ძისა. სოფელი ქვედა ორაჯა, 13000 ახჩა შემოსავლით. სოფელი ზემო ორაჯა, 7000 ახჩა შემოსავლით.

შემდეგი თიმარია ელიას აბდალაჰის ძისა. სოფელი ეშბიო, შემოსავლით – 10000 ახჩა. მორიგი თიმარი ეკუთვნის ფერვანას. სოფელი ჩავდარა, შემოსავლით 8499 ახჩა. სოფელი ვასქული, ექვემდებარება ბუნიქს, შემოსავალია 16660 ახჩა. სოფელი დიქილი, შემოსავალია 2000 ახჩა.

შემდეგი თიმარია ბადიქ ბაბრიდისა. სოფელი ოქამი, შემოსავალია 5000 ახჩა. თიმარი სინანისა. სოფელი ეშბიო, შემოსავალია 7000 ახჩა. სოფელი დიდი მაჰდიე, შემოსავალია 5000 ახჩა.

მაჰმუდის თიმარია, სოფელი ქვედა ორაჯა 13000 ახჩა შემოსაელით. სოფელი ზემო ორაჯა 7000 ახჩა შემოსავლით.

შემდეგი თიმარია აჰმედისა, სოფელი სადბაური, შემოსავლით 3500 ახჩა; აქვეა ერთი მამულიც ფერვანე ბეგისა, იგი თიმარის სახითაა წარმოდგენილი. შემოსავალია 1500 ახჩა.

შემდეგი თიმარის მფლობელია მუსტაფა. სოფელი დირსექი, შემოსავალია 10000 ახჩა. შემდეგი თიმარია აჰმედ აბდალაჰის ძისა. სოფელი არქამი, შემოსავალია 6000 ახჩა. სოფელი აბული, შემოსავალი 4000 ახჩა. სოფელი დიქსლი, შემოსავლით 4666 ახჩა. სოფელი გული, ექვემდებარება ბიასკურს, 2000 ახჩა შემოსავლით.

თომექის ნაჰიე ახალქალაქის ლივაში. მუსტაფას თიმარი. სოფელი ქაბალითი, 3415 შემოსავლით. იუსუფის თიმარი, სოფელი ქიაბილი, შემოსავლით — 3000 ახჩა. სოფელი საკლია, 1500 ახჩა შემოსავლით. შემდეგი თიმარი გილალისაა. სოფელი გუნილი, 7660 ახჩა შემოსავლით. ჰასან ჰუსეინის ძის თიმარია. სოფელი დასქული, შემოსავალია 16660 ახჩა. სოფელი დინქელი, 2000 ახჩა შემოსავლით.

ზიამეთის მფლობელია ჩაუშთა ჩაუში უმაღლესი სამეუფეო კარის წარმომადგენელი ჰუსეინი. სოფელი დიდი ხურანიე, შემოსავალია 1000 ახჩა. მაღალი ბრძანების თანახმად, ქებანის თიმარი შედგება რამდენიმე სოფლისაგან, ესენია: სოფელი თოფრაქ კალე, შემოსავლით 1500 ახჩა. სოფელი ჩოქიანი, შემოსავლით 1500 ახჩა. სოფელი კაფუჯლი, შემოსავალია 1000 ახჩა.

მეჰმედის საკუთრებაა სამი სოფელი. ესენია: სოფელი ბადლიაქი, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 3000 ახჩა. სოფელი ბარდა, ექვემდებარება აკშეჰირს, შემოსავალია 3665 ახჩაა. სოფელი დარბიე, ექვემდებარება ქუჩუქს, შემოსავალი — 3000 ახჩა.

შემდეგი თიმარი ეკუთვნის იაკუბს, მისი სოფლებია: აკჩე, ექვემდებარება ბიასკურს.

სოფელი არდაკი, 8000 ახჩა შემოსავლით. ჰასანის თიმარში ერთი სოფელია გურჯი, ექვემდებარება აკშეჰირს. შემოსავალია 8000 ახჩა. თანხმობის საფუძველზე 12000 ახჩაა.

ასეთია მოკლედ იჯმალ (მოკლე) დავთრის შედგენილობა. იგი შეიძლება ითქვას ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა სამხრეთ საქართველოს, კერძოდ ჩილდირის ლივის ზოგიერთი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესასწავლად. მასში ბევრი საინტერესო რეალიაა XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა

და XVII საუკუნის პირველი მეოთხედის ოსმალური ფეოდალური ინსტიტუტების მრავალი საკითხის შესამეცნებლად. იგი ასევე საინტერესოა საქართველოს ისტორიის თვალსაზრისითაც. მეტად საყურადღებოა დავთრის გვერდებზე მინაწერები, რომლებიც მეტად იშვიათ ცნობებს შეიცავენ. წყარო უნიკალურია. იგი უხვ და მრავალრიცხოვან ცნობებს შეიცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესახებ. მსგავსი წყაროების მოძიება და ჩვენ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ბევრ საინტერესო საკითხს მოჰფენს შუქს.

უკეთილშობილესთა ემირთა ემირს, წარჩინებულთა შორის უდიდებულესს, მბრძანებელსა და პატივდებულს, ღირსეულსა და ბრწყინვალეს, უზენაეს მბრძანებელთაგან მრავალი წყალობით გამორჩეულს, ჩილდირის ბეგლარბეგს[2], ხანგრძლივი იყოს მისი ბედნიერება, როდესაც მოაღწევს სამეუფეო ბრძანება, ეუწყოს, რომ უწინდელმა წერილი გამოგზავნა, ხსენებულ ეიალეთს დაქვემდებარებული ოჯაკის[3] ბეგების სანჯაყის[4] შვილებს მოახსენებს, რადგან ბეგების სახელოვანი წარმომადგენლები იყვნენ, მათი ერთად ყოფნა საჭირო იყო. როდესაც ისინი დაპატიჟეს, ჩვენ ბეგლარბეგები ვართო ითქვა. რადგანაც დაცვის სამსახურში არ მოვიდნენ, სხვა შვილებიც არ გამოაგზავნეს. სამსახურში არ ვიქნებითო თქვეს, როდესაც ეს აუწყეს ამის მსგავსად სამსახური საჭირო შეიქმნა. კაცი და წერილი გააგზავნეს. თუ თქვენ და თქვენი შვილები მიწვეულები ხართ და არ ემორჩილებით, ვინც არ მოვა, ვინც არ უნდა იყოს, დანიშნულებანი სხვებს ებოძათ. არზას[5] გამოსვლისას ჩემი დიდებული ფირმანი[6] გამოვიდა, აქედან გამომდინარე ვბრძანებ, რომ როდესაც იგი მოაღწევს, ჩემი დიდებული ბრძანების თანახმად, იმ საზღვარზე, ჩემი სამეუფეო სამსახურის გასაწევად გარკვეული რაოდენობის ხალხი გაეგზავნება. აღნიშნული ბეგლარბეგები და ოჯახის ბეგები მასთან იქნება მიწვეული. ამ საბით დაინიშნა, ასეთი რწმენით იყვნენ ურთიერთშორის, სამეუფეო ბედნიერების ზღურბლთან ანუ სამსახურის გაწევისას ასე იყვნენ. არცერთი მათგანი არ დაექვემდებარა. თუ სამსახურში არ გამოცხადდებით არზით ხელში, შენ რომ დანიშნული ხარ, იგი სხვასაც უნდა გადასცე. ასეთი საქციელის სანაცვლოდ იგი გაიცხვის ღირსია. მთელი საზღვრის ძლევამოსილნი დაცულნი არიან და ასეთი განადგურებული სტუმრისთვის უყურადღებობა და სიზარმაცე ძალიან ნიშანდობლივია. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ, დაიწერა დიდებული შაბანის მიწურულს, წელი 1014[7].

კეთილშობილთა ემირთა ემირს, წარჩინებულთა შორის უდიდებულესს, მბრძანებელსა და პატივდებულს, ღირსეულსა და ბრწყინვალეს, უზენაეს მბრძანებელთაგან მრავალი წყალობით გამორჩეულს ჩილდირის ბეგლარბეგს, ხანგრძლივი იყოს მისი ბედნიერება, როდესაც მოაღწევს სამეუფეო ბრძანება, ჩილდირის უწინდელმა ბეგლარბეგმა ჰაფიზმა ხანგრძლივი იყოს მისი ბედნიერება, წერილი გამოუგზავნა. ხსენებულ ეიალეთში ზიამეთისა[8] და თიმარის[9] მფლობელებმა, ზოგიერთმა მათი სურვილების საწინააღმდეგო ამბები შეიტყვეს, გადაყენებული ბეგლარბეგისაგან განსხვავებული წერილი ანუ თესქერე[10] მიიღეს. იგი რუზნამჩეში[11] იყო რეგისტრირებული, სხვა თესქერეს ჭეშმარიტებისა და თიმარის დავთარდარის[12] ბეჭედი არ ჰქონდა. უცხო დოკუმენტებისა და მათი თესქერეებისა და ბერათების წინააღმდეგი იყვნენ. რამდენადაც მისი რეგისტრაციის წინააღმდეგნი იყვნენ, ამავე დროს მათი ზიამეთისა და თიმარების გაბოძების წინააღმდეგნიც წავიდნენ. იგი ამასთანავე გარდაიცვალა კიდეც. როდესაც საჭირო შეიქმნა მისი ზიამეთისა და თიმარის სხვისთვის ბოძება, ჩვენ მისი წინააღმდეგი ვიყავით. ჩვენი ბერათის თანახმად იგი ჩვენთვის მისაღები იყოო ითქვა. ამ ვერაგულ საქმიანობაში ზიამეთისა და თიმარის სამსახურში მყოფი პირები დირლიქიდან[13] მოქმედებდნენ. საზღვრის მდგომარეობა მეტად მძიმე იყოო, ითქვა. იმთავითვე ბეგლარბეგის დივანში თიმარების გაბოძების აშკარა წინააღმდეგნი იყვნენ. მისი ბერათი გაანადგურეს. იგი რუზნამჩესა და იჯმალ დავთარში[14] იქნა რეგისტრირებული. თესქერეჯი თავისი დოკუმენტებით — ბეგლარბეგისა და დავთარდარის ბეჭდებით ბოძებულ ზიამეთთან და თიმართან ერთად იქნა რეგისტრირებული. გადაყენებული ბეგლარბეგის ვერაგობით თესქერესა და სახეშეცვლილი წერილის თანახმად, მასზე უარი ითქვა, იგი დატოვებულ იქნა. იმისათვის, რომ იგი ვინმესთვის არ მიეკუთვნებინათ, თხოვნა იქნა გაწეული, საამისოდ არზაც გაიცა. არსებული წესის თანახმად, საიმედო რომ ყოფილიყო, ბრძანება გაიცა. აქედან გამომდინარე ვბრძანებ, რომ როდესაც აქამდე მოაღწევს, როგორც იყო ისე ჩაიწეროს. იცოდეთ, რომ ამასთანავე არსებული წესის თანახმად, მის მფლობელთა წინააღმდეგობის მიუხედავად, მათზე თხოვნა და სიკეთე არ იქნება გაწეული. მაღრულის ბეგლარბეგთაგან თესქერე ანუ გარკვეული შინაარსის წერილი რუზნამჩეში იქნა რეგისტრირებული.

დავთარდარის ბეჭედი და თესქერეჯის ხელმოწერა არ იყო წარმოდგენილი. გარეშე დოკუმენტითა და არარსებული თესქერეს თანახმად, ვერაგობით, ყალბი ბერათი გაიცაო ითქვა. თუ მასში რაიმე საყურადღებოაო, უარი ითქვას. ამის შემდგომად, ზიამეთისა და თიმარის მფლობელნიც მასში არ იქნებიან წარმოდგენილნი. იგი არც ბერათებში იქნება ფიქსირებული. ამის შემდგომად ზიამეთი და თიმარი ცარიელი იქნებოდა და წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა. ბეგლარბეგებს დივანში აშკარად ებოძებოდათ. ბეგლარბეგსა და დავთარდარს თავისი ბეჭდით და თესქერეჯის ხელწერით თესქერე ებოძათ. რუზნამჩეში რეგისტრირებულ იქნა. მისი არარსებობა ჭეშმარიტად ვიღაცისთვის თიმარის მიუღებლობას ნიშნავდა. ეს ჩემი სამეუფეო ჰუქმი არსებული ივჯმალ დავთრის მეორე გვერდზე იყო რეგისტრირებული, რომ შენს შემდგომად მოსული ბეგლარბეგებიც ამრიგად იყვნენ უფლებამოსილნი.

თურქა: სულთან მურად ხანი სელიმ ხანის ძე[1], მუდამ გამარჯვებული

ახალციხის ლივა

ჩილდირის სამეუფეო უდიდებულესობის ხასები[15] დადგენილია ჩილდირის[16] ლივის სიფაჰიებისა და ზაიმების ღიური შემოსავლის მიხედვით. იგი ახლოსაა მუსთაფაზთა[17] თიმარებისა და ხსენებული ვილაიეთის ციხის აზაბებთან[18] და შეადგენს წელიწადში 10000 ახჩას.

შემოსავალი სიფაჰიების რესმი არუსანესი[19], დიდგვაროვანი სიფაჰიებისა და სამხედრო არისტოკრატიისა ხსენებულ ლივაში, წელიწადში 1500 ახჩა.

შემოსავალი ბეითალმალისა[20] ხასების გამორიცხვით, ხსენებულ ეიალეთში შეადგენს წელიწადში 2000 ახჩას.

შემოსავალი თაფლის სახლიდან და სამღებროდან ხსენებულ ეიალეთში, წელიწადში 2000 ახჩა.

შემოსავალი არწივებსა და მიმინოებზე და სხვათაგან, ხსენებულ ეიალეთში, წელიწადში 500 ახჩა.

საერთო ჯამია 34000 ახჩა.

ხსენებული სოფელი არსებული წესისი მიხედვით, ბერკუშადის უწინდელი სანჯაყ ბეგს კუბადადს ებოძა. რადგანაც ბერათი გაიცა, ასე იქნეს რეგისტრირებული, დაიწერა 2 რები ულ ეველს, წელი 1106[21].

ასპინძის ლივაში

გარდაიქმნა დიდებული სარდლის ვეზირ ფერჰად ფაშას უდიდებულესობით.

სოფელი ზემო დარდილი ახლოსაა ვენახთან, ხსენებული სოფელი ექვემდებარება ასპინძას, ჯამი 4700.

ხერთვისის ლივაში სოფელი ჩირა ნავრა ახლოსაა სათესველ ასმაურთან და სოფელ არილთან, იგი ახლოსაა ვენახთან.

სოფელი ქუმი ექვემდებარება ხერთვისს, ჯამი 5165.

ხსენებული სოფელი მუსტაფას სახელწოდების პირს პატიოსანი ბერათით ებოძა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა ჯემაზი ულ ეველის დასაწყისში, წელი 1006[22].

---

[1] მურად ხანი სელიმ ხანის ძე – ოსმალეთის იმპერიის სულთანი მურად III (1574-1595) სელიმ ხანი- სულთან სელიმ II (1566-1574)

ხსენებული სოფელი იმთავითვე ბერქუშადის უწინდელ სანჯაყ ბეგს კუბად ბეგს ებოძა. რადგანაც პატიოსანი ბერათი იყო წარმოდგენილი, იგი ასე იქნა რეგისტრირებული. დაიწერა 2 რები ულ ეველს, წელი 1007[23].

<u>ახალქალაქის ლივაში</u>

სოფელი ქავდანი ექვემდებარება აკშეჰირს, ჯამი 4630.

ხსენებული სოფელი არსებული წესის მიხედვით, ბერკუშადის სანჯაყ ბეგს კუბადანს ებოძა. რადგანაც პატიოსანი ბერათი გაიგზავნა, იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა რები ულ ეველის ორში, წელი 1006[24].

ხსენებული კუბადის ხელთ არსებულ 14000-იან ზიამეთზე მეჰმედს უარი ეთქვა. რადგანაც მასზე ბერათი გამოვიდა, იგი რეგისტრირებულ იქნა, დაიწერა 20 ზილ კაადეს, წელი 1012[25].

რადგანაც განსხვავებული ბერათი გამოვიდა, იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 1099 წლის 2 რამაზანს[26]. ხსენებულ კუბად ბეგს აღნიშნული 14000 ახჩიანი თიმარის ბერათი ებოძა. მოხუცებულობით მანუჩარის ქვრივს ელენე ხათუნს, რადგანაც ამაზე უარი ეთქვა, ხსენებულ მეჰმედ ბეგსაც მისი ბოძების თაობაზეც ეთქვა უარი. ბერათი გაიცა და დავთარში იქნა რეგისტრირებული. ბერათებზე მეთვალყურეობა იქნა დაწესებული. მისი კუბად ბეგისადმი მიწერაზე უარი თუ იქნებოდა, ეს კანონიაო. კუბად ბეგის ბერათისთვის მისი ჩაწერა გადაწყდა. მისი მაჰმუდისათვის ბოძების პირობები არ იყო. ხსენებული ელენე ხათუნის გარდაცვალებისა და აჯანყების შედეგად პატიოსანი ბრძანებით, მისი უფლება ჰუსეინ ბეგის შვილის იბრაჰიმისათვის იქნა ნაბოძები. თანახმად მაღალი ბრძანებისა, მას ებოძა. დაიწერა საფარის თვის დასაწყისში, წელი 1020[27].

ჯამი 14495.

საერთო ჯამი 48495,

ჩილდირის ვილაიეთის მირმირანის[28] ხასების მფლობელების ჰიზირ ფაშას შესახებ. მზვარეს ნაჰიე ხსენებულ ლივაში.

სოფელი რაბათი ახალციხის ციხეში, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 30000.

სოფელი აღეში ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 20000

ჯამი 50000.

ჩრდილის ნაჰიე ხსენებულ ლივაში.

სოფელი ვალი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 2500.

სოფელი დირექ ქუჩუქი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 7500.

ჯამი 33500.

უდეს ნაჰიე ხსენებულ ლივაში.

სოფელი უდეს ციხის რაბათი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 30000.

იალაღი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 6000.

სახასო ჩაირი ახლოსაა უდეს ციხის რაბათთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4500.

საერთო ჯამი 40500.

აწყურის ნაჰიე ხსენებულ ლივაში.

აწყურის ციხის რაბათი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 30000.

სოფელი რუდბალი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 15000.

სოფელი დუგარი ახლოსაა ჰარაზის მოსახლეობასთან, დარდსის დასახლებასთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 20955.

სოფელი დირბუჯი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 14595.

სოფელი ზღუდირი ახლოსაა აწყურის რაბათთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 19000.

სოფელი ავურღადი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 6000.

ჯამი 105550.

<u>ზემო აჭარის ლივაში</u>

სოფელი ღორჯომი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 29999.

სოფელი დაბადღა ახარა ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 15000.

სოფელი დოსხო ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 15002.

სოფელი ალმე ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 29999.

<u>ასპინძის ლივაში</u>

სოფელი მოსხი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 15500.

სოფელი ახალშენი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 15000.

სოფელი ქვედა ნოქია ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5000.

ჯამი 35500.

ახალქალაქის ლივაში

სოფელი ზედა ბიალე ექვემდებარება ბანაშქუდს, ჯამი 15000.
სოფელი ბუკა ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 18000.
სოფელი ქვედა ბიალე ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 18000.
სოფელი რიზე თომექი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5000.
ჯამი 56000

ჭაჭარაქის ლივაში

სოფელი ბოღა ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 9000.

დიდი არტაანის ლივაში

სოფელი მუღრა ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 10000.
სოფელი პატარა ჰადაკა ექვემდებარება მიშეს /ტყიანს/ ჯამი 8000.

ჩილდირის ლივაში

შემოსავალი გადასახადზე ჩილდირის ტბის თევზზე, რომელიც მდებარეობს მდინარე თაშ ქოფრუს წყალზე, ექვემდებარება ჰანბარს, ჯამი 30000.

შემოსავალი ბეითალმალიზე, ხასის გამორიცხვით, თუ მისი ღირებულება 10000-ზე ნაკლებია, ფოცხვერის ტყავზე ახალციხის, ქობლიანის და აწყურის ნაჰიებში, წელიწადში 35000.

შემოსავალი სამღებროზე ახალციხის რაბათზე, უდესა და აწყურზე წელიწადში 95000.

შემოსავალი შავ დამღაზე, იჰთისაბიეზე ახალციხის რაბათსა, უდესა და აწყურში, წელიწადში 70000.

შემოსავალი შავ დამღაზე და იჰთისაბიეზე სოფელ ახალთიაში, ექვემდებარება ხსენებულს, წელიწადში 30000.

შემოსავალი ჯიზია მურახხასიე გაბრანზე[29] ხსენებულ ნაჰიეში, თავისუფალ თიმართა და ზაიმთა გამორიცხვით, თითოეულ სახლზე 2-2, წელიწადში 15000.

შემოსავალი ცხვრის გადასახადზე ხსენებული ხასების გამორიცხვით, გარდა ზაიმებისა და სიფაჰთა თიმარებისა და ციხეებში მყოფი ჯარისკაცებისა, წელიწადში 25000.

შემოსავალი ხსენებული ნაჰიეების იალაღთაგან, იალაღების ზაიმთა და თიმართა სიფაჰიების გამოკლებით, რომლებიც ჩაწერილები არიან, წელიწადში 9400.

შემოსავალი იავასა და კანჩუკზე, მალი გაიფზე, მალი მეფკუდზე[30] ხსენებულ ნაჰიეებში, წელიწადში 17000.

შემოსავალი მირმირანის თესქერეებისა და ბერათების გადასახადზე, წელიწადში 20000.

იალაღის შესახებ ქონებაზე სიკეთის მომასწავებელ თავშესაფარ სახლებში, წელიწადში 10000.

/შემოსავალი/ ნახევარ ბადჰავაზე[31] არუსანეს სიფაჰთა თიმარებზე, თავისუფალ თიმართა და ზაიმთა გამორიცხვით ხსენებულ ნაჰიეებში. წელიწადში 37000.

საერთო ჯამი 363200.

ჰეტრეს ლივაში

სოფელი ზარზმა ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 11660.

სოფელი წაღვერი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 15200.

სოფელი სამდა სახური, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 13000.

სოფელი ჰანდაკირი, მეორე სახელი ჰაქიდი, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 30000.

ჯამი 69860.

საერთო ჯამი 900110.

ჩილდირის ვილაიეთის თიმარების დავთრის ქედხუდას კიას ზიამეთი. სოფელი არდანი ექვემდებარება უდეს, ჯამი 7000.

ხერთვისის ლივა

სოფელი ზრავილი ექვემდებარება ტყიან ჯავახეთს, ჯამი 25000.

სოფელი არუქი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 10000.

სოფელი ლაღალუმანი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 10000.

სოფელი ზემო და ქვემო დილქე, ახლოსაა ხერთვისის ციხის რაბათთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5000.

საერთო ჯამი 50000.

ახალქალაქის ლივა

სოფელი ბირბუნი ახლოსაა სოფელ ქოფრუსთან, ექვემდებარება აკშეჰირს, ჯამი 5000.

ჰეტრეს ლივა

სოფელი ასმათუბანი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 13000.
სოფელი მაქათუბანი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 10000.
ჯამი 23000.
საერთო ჯამი 85000.

ჩილდირის ვილაიეთის თიმართა დავთარდარის ჰუსეინის ზიამეთი.

სოფელი კარმალა დემიდე ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 13000.
სოფელი ჰვაჯითი ექვემდებარება ჩრდილს 3000.
სოფელი ქვედა ბირალი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 6000.
შემოსავალი ჩილდირის ვილაიეთის თიმარების თესქერეს გადასახადისა, წელიწადში 50000.
ჯამი 71000.

ჰეტრეს ლივაში

სოფელი ჭალა ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5000.
სოფელი თია ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4500.
ჯამი 9500.
საერთო ჯამი 80500.

ხსენებული კაბას შეცვლის შემდეგ იგი მის შვილს აჰმედს ებოძა. აჰმედიც გარდაიცვალა. იგი რიდვანს ებოძა. დაიწერა დიდებული შაბანის დასაწყისში, წელი 1016[32]. ხსენებული სამეუფეო ბერათი გაიგზავნა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 22 მუჰარემს, წელი 1020[33].

ხსენებული გარდაიცვალა, იგი მის შვილს აჰმედს ებოძა. ხსენებული აჰმედიც გარდაიცვალა. მისი ზიამეთი სხვას ებოძა. 5999 ახჩას წილი დიდი არტაანის ზიამეთიდან მეჰმედს ებოძა. დაიწერა შაბანის დასაწყისში, წელი 1010[34]. რადგანაც მეჰმედ ჰუსეინი მოხუცებული იყო იგი ალის მიეცა. ასე იქნა რეგისტრირებული კურთხეული რამაზანის მიწურულს 1018[35]. ხსენებული ალი დიდებული ბერათით

წარდგენილ იქნა და ასე იქნა რეგისტრირებული, 11 ზილ კაადეს. წელი 1020[36].

რადგანაც აღნიშნული 20000 ახჩიდან ზიამეთზე მეჰმედს უარი ეთქვა, იგი კურდს ებოძა. რადგანაც დიდებული ბერათი წარდგენილი იყო, იგი რეგისტრირებულ იქნა. 12 რები ულ ეველი 1028 წლისა[37].

კიას ზიამეთი

სოფელი დიდი ჰაქი ექვემდებარება ჩრდილს, ჯამი 12000.

სოფელი ზიღრი ახლოსაა ოდჰუანთან, ბალიათუბანის დასახლებასთან და ალქასთან, ექვემდებარება უდეს, ჯამი 4999.

სოფელი ხერთვისი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000. წილი 2000.

სოფელი ჰობა ექვემდებარება უდეს, ჯამი 7000.

ჯამი 25999.

აღნიშნული მუსტაფა აღა, რადგანაც ხსენებული ზიამეთის მფლობელი იყო, კავიეს სახელწოდების სოფლიდან 3000 ახჩიანი სიბერის გამო ებოძა 1002 წელს[38]. მაჯი სეიდი კანდიეს უარი ეთქვა. ასე იქნა რეგისტრირებული. დაიწერა ხსენებული წლის რები ულ ახირს[39]. ამასობაში ისიც გარდაიცვალა. რადგანაც მისი ზიამეთი ცარიელი დარჩა, იგი დამსახურებულ ჰაჯის სახელწოდების პირს ებოძა. დაიწერა შაბანის დასაწყისში 1008 წელს[40]. ხსენებული ჰაჯი ზიამეთის მფლობელი როდესაც იყო გარდაიცვალა, ხანდაზმულობის გამო ვინმე ალის მასზე უარი ეთქვა. დაიწერა ზილ ჰიჯეს მიწურულს 1008 წლისა[41].

ხსენებული ალის მდგომარეობის გამო ფადიშაჰის ბრძანებით თიმარი აჰმედს ებოძა და ჩაიწერა 16 მუჰარემს 1021 წლისა[42]. ხსენებულ აჰმედს აღნიშნული თიმარი 1020 წლის საფარის დასაწყისში[43] ებოძა. ამასობაში თესქერე გაიცა. დაიწერა 1022 წლის საფარის მეოთხე დღეს[44]. პატიოსანი ბერათი წარდგენილ და რეგისტრირებულ იქნა. 1022 წლის შაბანის მიწურულს[45]. ხსენებულ აჰმედს უარი უთხრეს. რადგანაც ალის სოფელი ჰქონდა მეჰმედს ებოძა. 1025 წლის კურთხეული რამაზანის 25-ს[46]. ბერათი წარდგენილ და რეგისტრირებულ იქნა.

მუსტაფას ზიამეთი

სოფელი ორჭოსანი ექვემდებარება უდეს, ჯამი 12000.

სოფელი რიზა ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 18500. წილი 3000.

საერთო ჯამი 15000.

ხსენებული თავად შეშინებული იყო. არსებული დახმარება ფადიშაჰისაგან არ მოდიოდა. 21000 ზიამეთი ვინმე ისმაილს ებოძა. დაიწერა ჯემაზი ულ ეველის დასაწყისში, წელი 1004[47]. ხსენებულ ისმაილს აღნიშნული ზიამეთი სიბერით ებოძა. უმაღლესი სამეუფეო კარის მუთეფერიკათაგან[48] მუსტაფა აღას თავისი მიზანი ჰქონდა. დაიწერა კურთხეული რამაზანის შუა რიცხვებში, წელი 1006[49].

ხსენებული ჰუსეინი 41000 ზიამეთის მფლობელი იყო, არსებული წესით, გაცვლაზე უმაღლესი სამეუფეო კარის მუთეფერიკათაგან მუსტაფა აღას უარი ეთქვა. პატიოსანი ბერათი გაიგზავნა და რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა დიდებული მუჰარემის 26. 1006 წლისა[50]. ხსენებული ზიამეთის აღნიშნული ჰუსეინისათვის გადაცემა დადგინდა და ჩაიწერა. დაიწერა ზილ ჰიჯეს შუა რიცხვებში, წელი 1008[51]. ხსენებული ჰუსეინი ამჯერად მურიდი /მიმდევარი/ გახდა. რადგანაც მისი ზიამეთი ცარიელი დარჩა. მისი მფლობელობის უფლება სხვა ჰუსეინისათვის იქნა ნაბოძები. დაიწერა. რები ულ ახირის დასაწყისში. წელი 1016[52].

<u>ჰუსეინის ზიამეთი</u>

სოფელი ჩობასანი ექვემდებარება უდეს, ჯამი 4000.

სოფელი მეიდანი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5000.

სოფელი ბულაჩაური ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000.

სოფელი ზემო რაბარი ახლოსაა ეკლესია რაბართან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000.

სოფელი შუა რაბარი, მეორე სახელი რინ რაბარი, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000

სოფელი არალი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000.

სოფელი სახლისი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000.

სოფელი ჩორჩანი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000.

სოფელი საირ მიშე ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000.

სოფელი ბალდოვანი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000.

ჯამი 41000

ხსენებული თიმარი 6000 ახჩათი სხვას ებოძა. 6000 ახჩა

იუსუფ ზაიმის წილი, დანაკლისით ებოძა და ჩაიწერა. დაიწერა ჯემაზი ულ ეველის დასაწყისში, წელი 1009[53].

ზიამეთი ველი ალის ძისა

სოფელი სალიბა ახლოსაა ზემო ოქანის დასახლებასთან, ექვემდებარება აწყურს, ჯამი 7000.

სოფელი ხოდი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000.

სოფელი ბუქსანი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5000, წილი 1000.

ჯამი 12000.

ხსენებული ბერათი გაიცა, მოხუცებულობის გამო მის ხელთ არსებული პატიოსანი ბრძანებით ალის უარი ეთქვა, დაიწერა კურთხეული რამაზანის მიწურულს. 1004 წელს[54], მაღალი ბერათი ჩაიწერა. დაიწერა 1020 წლის 22 მუჰარემს, ხსენებული ალი ჩაუში გარდაიცვალა. ეს საქმე ჰუსეინმა აიღო, რადგან ბერათი იყო წარდგენილი, იგი ჩაიწერა. დაიწერა 8 მუჰარემს, წელი 1026[55]. ხსენებული ზიამეთი თავის მხრივ ალიმ აიღო, რადგანაც ამან დავა გამოიწვია, ხსენებულმა ალიმ ბერათი წარადგინა. ხსენებულ ჰუსეინს კვლავ უარი ეთქვა და იგი ასე იქნა რეგისტრირებული. დაიწერა საფარის დასაწყისში, იმავე წლისა[56].

რადგანაც განახლებული ბერათი გაიცა, იგი ჩაიწერა. დაიწერა 18 ჯემაზი ულ ახირას, წელი 1028[57].

ზიამეთი ალი ფირის ძისა, იგი იყო უმაღლესი სამეუფეო კარის ჩაუშთაგანი.

ხსენებული აჰი ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 11000.

სოფელი ზირი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 7033.

ჯამი 18033.

ხსენებული ზიამეთის 20999 ახჩიდან მის ხელთ არსებული პატიოსანი ბრძანების მიხედვით, მასზე ფერიდუნს უარი ეთქვა. რადგანაც პატიოსანი ბერათი გაიგზავნა, იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა შევალის მიწურულს 20-ს, წელი 1004[58].

ხსენებულ ზიამეთზე ალის უარი ეთქვა და იბრაჰიმს ებოძა. რადგანაც პატიოსანი ბერათი გაიგზავნა იგი რეგისტრირებულ იქნა მუჰარემის დასაწყისში, წელი 1028[59]. ზემოხსენებული იბრაჰიმის აღნიშნული ზიამეთის 21500 ახჩა რეგისტრირებულია 27 ჯემაზი

ულ ეველს, წელი 1029[60]. ხსენებულმა იბრაჰიმმა გარედან ბერათი წარადგინა, იგი რეგისტრირებულ იქნა, დაიწერა 27 ჯემაზი ულ ახირს, წელი 1029[61]. განხილული ბერათი წარადგინა, იგი რეგისტრირებულია, დაიწერა 28 მუჰარემს, წელი 1022[62].

სოფელი აქჩა ახლოსაა ავილის დასახლებასთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 8000, წილი 6000.

სოფელი კაია რადდიე ახლოსაა სესმექლი ვაიას დასახლებასთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 8000.

სოფელი დუსი ახლოსაა სოფელ ქილისა რედდიესთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

სათესველი გოლა ახლოსაა სოფელ რადდიესთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 500.

სოფელი ერქე ესაზღვრება ქუვათის დასახლებას, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 6000.

საერთო ჯამი 23500.

სოფელი დერლურ დერსექი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 10000, წილი 4000.

ჯამი 47500.

მაღალი ბრძანების თანახმად დაჯამებულია.

პატიოსანი ბრძანების თანახმად ბერათი ჩასწორებულ იქნა.

ნაშთი 80 რეგისტრირებულიაო ითქვა. პატიოსანი ბრძანების თანახმად გაიგზავნოს.

ხსენებულმა ისმაილმა თავისი ბერათი წარადგინა, თავისი ზიამეთით სანჯაყში იმყოფებოდა. სანჯაყიდან წარმომადგენელმა ჯაფარმა უარი უთხრა. დაიწერა რეჯების დასაწყისში, წელი 1002[63]. ხსენებულმა ჯაფარმა და ალი ჩაუშმა სხვა სანჯაყში არსებული ზიამეთით მისი ჩანაცვლების თაობაზე ალი ჩაუშს ჩაეწერა. მუჰარემს, წელი 1003[64]. აღნიშნულ ზიამეთებზე ხსენებულმა ჯაფარმა მეჰმედ აბდალაჰის ძეს უარი უთხრა. ხსენებულმა მეჰმედმაც მოხუცებულობით ბერათი გასცა. რადგანაც იგი ქათიბ კაის ეკუთვნოდა, მას უარი ეთქვა. დაიწერა ჯემაზი ულ ახირის მიწურულს, წელი 1009[65]. ხსენებული აჰმედი გარდაიცვალა. რადგანაც მისი სამფლობელო ზიამეთი ცარიელი დარჩა, მისი ზიამეთი თავისუფალ ალის ებოძა. ჩაიწერა. დაიწერა რამაზანის მიწურულს, წელი 1014[66]. ხსენებული ზიამეთის ორი ათასი ახჩას წილი გარდაცვლილი ჯაფარის სარგოდან ბერათი

იქნა წარდგენილი. რეგისტრირებულ იქნა, დაიწერა 15 რები ულ ახირს, წელი 1004[67].

ზიამეთი ისმაილისა

სოფელი დიდი მულადა, ექვემდებარება უდეს, ჯამი 5000.

სოფელი პატარა მულადა ახლოსაა დიდ მულადასთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 2000.

სოფელი დირქა რაველი ახლოსაა სათესველ აჰლილთან, იგი ახლოსაა ბილადასთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 2000.

სოფელი სარხურჯი ახლოსაა სათესველ თობანთან ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1000.

სოფელი ქვედა მარიბი, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1700, წილი 10000.

სოფელი ავსირა, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000, წილი 2000.

ჯამი 22000.

მერაკისის სახელწოდების პირმა ბედნიერების კარიდან პატიოსანი ბრძანება და დავთრის ასლი გამოაგზავნა. ეს უწინდელი გადაწყვეტილება გაიგზავნა ზილ კაადეს დასაწყისში, წელი 1001[68]. აღნიშნული სეიდის ბერათს არსებულ ამბებზე მუსტაფასთან ერთად უარი ეთქვა. დაიწერა რები ულ ახირის დასაწყისში, წელი 1002[69]. ხსენებულ სეიდს ჰაიდარის სახელწოდების პირს უარი ეთქვა. მეჰმედსაც სხვასავით უარი ეთქვა. დაიწერა რამაზანის შუა რიცხვებში, წელი 1004[70].

აღნიშნული ზიამეთი ხსენებულ სეიდ ალაჰის შვილს ალის დაუდგინა. მისი ბერათის ცვლილების გამო, 1020 წელს რები ულ ეველის მეხუთე დღიდან[71] პატიოსანი ბერათი გაიცა. რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა რეჯების, წელი 1022[72]. ბერათი განახლებულ იქნა 18 ჯემაზი ულ ახირს, წელი 1028[73]. როდესაც ხსენებული ზიამეთი ოსმანს პატიოსანი ბერათით ებოძა, ისიც გარდაიცვალა. პატიოსანი ბერათით სეიდს ებოძა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 8 შაბანს 1035 წელს[74].

სადულაჰის ზიამეთი

სოფელი ბელით ზემიდე, ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 5000, წილი 3000.

სოფელი ავლირი ახლოსაა სოფელ შუა რაბაათან, ექვემდებარება უდეს, ჯამი 3500

ჯამი 6500

როდესაც ხსენებული აჰმედი სარწმუნოებისათვის აწამეს, ხსენებული თიმარი მის შვილს დერვიშს ებოძა, მოხუცებულობის გამო, მის ძმას ალის უარი ეთქვა. 1015 წლის რეჯების მე-20 დღეს[75]. რადგანაც მას თიმარი არ ჰქონდა და დერვიში გარდაიცვალა, პატიოსანი ბრძანებით აჰმედ აღას მოძალადე რუსეთის სერიალი ფიალე დამხმარედ მოვიდაო ითქვა. მგზავრობა შეჩერებულ იქნა.

თუმცა უწინდელი მირმირანი ხსენებულ ალის თავს დაესხა. შემდეგ მას კვლავ თავს დაესხნენ და შეიპყრეს. ამჯერად თამასუქის თანახმად გადაწყდა და თიმარი გაიცა. დაიწერა ჯემაზი ულ ეველის დასაწყისში, წელი 1020[76]. ხსენებული დერვიში და ფიალე ადგილზე არ იმყოფებოდნენ. რადგანაც მათი მამული ცარიელი იყო, იგი ველი ბეგმა აიღო. მან პატიოსანი ბერათი წარადგინა. ველი ბეგმაც მოხუცებულობით თავისი ბერათი უბოძა. რიზვანს მასზე უარი ეთქვა. პატიოსანი ბერათი წარდგენილ და რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა საფარის დასაწყისში, წელი 1020[77]. განახლებული ბერათი გაიგზავნა. დაიწერა 20 ჯემაზი ულ ახირს, წელი 1028[78].

<u>აჰმედის ზიამეთი</u>

სოფელი მამლა ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან–მექარიდესთან, ექვემდებარება ქობლიანს, ჯამი 12100.

სოფელი ჰალა ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3500.

ჯამი 15600.

ხსენებულ ზიამეთზე მაჰმუდს უარი ეთქვა. პატიოსანი ბერათი გაიცა და რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 25 შევალს, წელი 1009[79].

ხსენებული მაჰმუდი განდგომილი იყო. მისი ზიამეთი ფადიშაჰის ბერათით მეჰმედს ებოძა. დაიწერა რამაზანს, წელი 1010[80]. დაიწერა აგრეთვე შაბანის მიწურულსაც, წელი 1011[81]. როდესაც ხსენებულმა მეჰმედმა განახლებული ბერათი წარადგინა, იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა ჯემაზი ულ ახირის 16-ს წელი 1028[82].

<u>დაუდის ზიამეთი</u>

სოფელი იორგი დემიდე, ექვემდებარება აწყურს, ჯამი 15000.

სოფელი გვანანი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 7500.

დარვიშ ხარაზის დასახლება, სხვა დასახლება სოფელ დერ ქარისა, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 2000.

საერთო ჯამი 24500.

ხსენებული ბერათი გაიცა. მოხუცებულობის გამო ალის შვილ იაკუბს უარი ეთქვა. ამაზე ბერათი გაიგზავნა და რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა შევალის შუა რიცხვებში, წელი 1001[83]. ხსენებული ზიამეთი აღნიშნული იაკუბის გარდაცვალების გამო აიუბს ებოძა. წელი 1014 ზილ ჰიჯეს მეოცე დღიდან[84] პატიოსანი ბერათი გაიგზავნა. განახლებული ბერათი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 14 რეჯებს 1019 წლისა[85].

<u>მეჰმედის ზიამეთი</u>

სოფელი დენისი ექვემდებარება აწყურს, ჯამი 10500.

სოფელი მეორე რისი ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 10200, წილი 9500.

ჯამი 20000.

ხსენებული თიმარის 10000 ახჩიდანაც უარი ითქვა. რადგანაც ოთხი ათასიანი ზიამეთი მიტოვებული იყო, იგი ზაიმ აჰმედს მიტოვებულის სანაცვლოდ ებოძა. დაიწერა კურთხეული რამაზანის დასაწყისში, წელი 1005[86].

ზიამეთი რიდვან ჩაუშისა, უმაღლესი სამეუფეო კარის ჩაუშთაგანისა.

სოფელი რამუსანი ახლოსაა სოფელ ანილთან. ექვემდებარება ქობლიანს, ჯამი 5000.

სოფელი გიგილო ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 9100, წილი 4000.

სოფელი რაბათ სანათიე ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან, ექვემდებარება აწყურს, ჯამი 5000.

ჯამი 14000.

რადგანაც ხსენებულმა ჰასანმა სამსახური მიატოვა, იგი ოსმანს ებოძა. გაიცა პატიოსანი ბერათი, იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 10 რეჯებს, წელი 1028[87].

<u>ზიამეთი ჰასანისა</u>

სოფელი უდე და ვაჰბებითი ექვემდებარება აწყურს, ჯამი 8000.

სოფელი რანჯა, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 9000, წილი 4000.

სოფელი ქობლიანი ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 5000, წილი 4000.

სოფელი ჯურბასი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 13000, წილი 2000.

სოფელი რირა ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 18500, წილი 2000.

ჯამი 2000.

ზიამეთი ისმაილისა

სოფელი საბლითი ექვემდებარება უდეს, ჯამი 6000.

სოფელი ანგა ახლოსაა სოფელ გუდრირთან, ექვემდებარება ქობლიანს, ჯამი 3500.

სოფელი დებუქილი ექვემდებარება უდეს, ჯამი 7500, წილი 5000.

სოფელი ღული ახლოსაა სოფელ ღაღუსთან, ექვემდებარება ქობლიანს, ჯამი 5500.

ჯამი 20000.

ხსენებული გარდაიცვალა. ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მისი მამული ცარიელი იყო. 6000 ახჩა ხმალი სანჯაყში სოფელ დუკლიესა და სხვათაგან 16000 ახჩა თიმარის მფლობელ მუსტაფას ებოძა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 25 კურთხეულ რამაზანს, წელი 1007[88]. ხსენებული თიმარის 6000 ახჩა წილზე ხსენებულ მუსტაფა იუსუფს უარი ეთქვა. 1000 წლის ჯემაზი ულ ახირის მეცხრე დღეს[89] პატიოსანი ბერათი გაიგზავნა. იგი რეგისტრირებულ იქნა.

ზიამეთი მეჰმედისა

სოფელი კარა კუზაი ექვემდებარება აწყურს, ჯამი 2000.

სოფელი სადარინი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

სოფელი ადაბუქი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1000.

სოფელი ბუდულათუბანი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 500.

სოფელი ირქეთუბანი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1000.

სოფელი დაჰსინი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 500 ჯამი 8000.

ხსენებულმა შაბანმა ბერათი გასცა. თავისი ხანდაზმულობით 20000 ახჩა ხელთ იგდო. პატიოსანი ბრძანებით 1002 წელს ხელზე არსებული დოკუმენტით მას უარი ეთქვა რები ულ ეველის დასაწყისში[90]. 4400 ახჩა წილზე სულეიმანის სახელწოდების პირს უარი ეთქვა. ხსენებულ ბაირამს აღნიშნული მითითებული შაბანის თვის დადგენის შემდეგ მოხუცებულობის გამო სულეიმან ბეგის შვილს, მეჰმედს მასზე უარი ეთქვა. ეს რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 12 რები ულ ეველს, წელი 1004[91].

ხსენებული ზიამეთი 88500 ახჩიანი გახდა. უმაღლესი სამეუფეო კარის მუთეფერიკათაგან ვინმე შაბანი ეგრის ლაშქრობაში არ გამოცხადდა. 18500 ახჩა ბედნიერების კარიდან უმაღლესი სამეუფეო კარის ჩაუშთაგან ვინმე მეჰმედ ჩაუშს ებოძა. რადგანაც პატიოსანი ბერათი გაიგზავნა, იგი რეგისტრირებულ იქნა, დაიწერა 20 დიდებულ შაბანს, წელი 1005[92].

ხსენებულ მეჰმედ ჩაუშს აღნიშნული ზიამეთი ხელთ ჰქონდა, პატიოსანი ბრძანებით სულეიმან ბეგის შვილს მეჰმედს თავისი ასაკით ბერათი ებოძა. მას ამაზე უარი ეთქვა. ბრძანება გაიცა. დაიწერა ჯემაზი ულ ეველის დასაწყისში, წელი 1006[93]. ხსენებული მეჰმედ ჩაუში აღნიშნული ზიამეთის 20000 ახჩას წილის მფლობელი იყო. პატიოსანი ბრძანებით ვინმე მუჰარემს მასზე უარი ეთქვა. და მას ებოძა. დაიწერა ჯემაზი ულ ეველის დასაწყისში, წელი 1006. ხსენებულმა ბედნიერების კარიდან პატიოსანი ბერათი გააგზავნა და იგი ჩაწერა. ხსენებული სოფლის 6400 ახჩა ვინმე მუსტაფას პატიოსანი ბერათით გაეგზავნა. და იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა ჯემაზი ულ ეველის დასაწყისში, წელი 1006.

ხსენებული მუჰარემი უბერათოდ რადგანაც იყო, სხვა ამბებთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიუღია. ზიამეთი ვინმე მაჰმუდს ებოძა. დაიწერა შევალის შუა რიცხვებში, წელი 1017[94].

<u>ზიამეთი ალიასი</u>

სოფელი კილიჯდა ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან, ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 15000.

სოფელი საკვითი ექვემდებარება აწყურს, ჯამი 12400.

სოფელი დუბრი, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 20000.

ჯამი 47400.

ხსენებული სოფელი და ბადაგი 23998 ზიამეთს მიემატა და როდესაც მუსტაფამ განახლებული პატიოსანი ბერათით გააგზავნა, იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 16 შევალს, წელი 1029[95].

ხსენებული სოფელი და ბადაგი 24402 ახჩა ზიამეთი მეჰმედმა განახლებული ბერათით გააგზავნა, დაიწერა 16 შევალს, წელი 1029.

ხსენებული მეჰმედი 4-5 წლის განმავლობაში ლაშქრობაში არ მონაწილეობდა არ ცხადდებოდა, დამოუკიდებელი ზიამეთი დივანა კურდას ებოძა. ეს მოხდა რები ულ ეველს, წელი 1002[96].

ხსენებულ რესქლიეს სახელწოდების სოფელში წილი მის ხელთ იყო, პატიოსანი ბრძანებით ალაჰვერდს მასზე უარი ეთქვა. დაიწერა რები ულ ეველის დასაწყისში 1008[97]. კურდის მფლობელობიდან იგი მუსტაფამ მიიღო. მანაც სხვა მუსტაფას გადასცა. ხსენებულმა მუსტაფამ აიღო, ბერათი გაიგზავნა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 10 ჯემაზი ულ ეველის 1028 წლისა[98]. ხსენებული თიმარი იბრაჰიმის მფლობელობიდან ომერს გადაეცა. პატიოსანი ბერათი გაიგზავნა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 13 რები ულ ეველს, წელი 1131[99].

<u>ზიამეთი მეჰმედ მუჰარემის ძისა</u>

სოფელი ბიდა, ექვემდებარება აწყურს, ჯამი 2000.

სოფელი დიქლე, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 15000, წილი 2000.

სოფელი სური ახლოსაა სოფელ გურითთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 2000.

სოფელი ბადალა ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1500.

ჯამი 7500.

ხსენებული სულეიმანი სხვა მფლობელს მიეჭრა და თიმარი მის ხელთ აღმოჩნდა. პატიოსანი ბრძანების თანახმად იგი ალის ებოძა. წელი 1001, მუჰარემის დასაწყისი[100].

<u>ზიამეთი სულეიმან კოლაუზ კასიმის ძისა</u>

სოფელი დურნისი, ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 13000, წილი 10000.

ხსენებული ზიამეთი ბედნიერების კარზე იბრაჰიმის დოკუმენტის ცვლილების გამო, არსებითი ნაირსახეობით მუსტაფას ებოძა. დიდებული ბერათის თანახმად იქნა რეგისტრირებული.

ხსენებული ზიამეთი აღნიშნული მუსტაფას დოკუმენტის თანახმად 1017 წლის რამაზანის მიწურულიდან[101] ალის ებოძა. ბერათი წარდგენილ და რეგისტრირებულ იქნა, შაბანის მიწურულს, წელი 1022[102].

ხსენებული ალის პატიოსანი განახლებული ბერათი იქნა გაგზავნილი და რეგისტრირებული. 16 ჯემაზი ულ ახირი, წელი 1028[103]. ხსენებული ალი გარდაიცვალა. ფადიშაჰის ბერათი ომერს ებოძა.

ჰაზიფ მეჰმედის ზიამეთიდან, უმაღლესი სამეუფეო კარის მუთეფერიკების თაობაზე.

სოფელი დილუბანი ექვემდებარება აწყურს, ჯამი 1100.

სოფელი გუდგილი ახლოსაა სოფელ დილუბანთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5000.

ჯამი 16000.

ხსენებული თიმარიდან 3000 ახჩას წილი ალის ებოძა. ბერათი გაიგზავნა. გივან ჩაუშის ზიამეთი უმაღლესი სამეუფეო კარის ჩაუშთაგანისა.

სოფელი ღაღო ახლოსაა სოფელ ვალისონთან, ექვემდებარება უდეს, ჯამი 1500.

სოფელი დიბუქილი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 7500, წილი 2500.

სოფელი სიჰავრა ახლოსაა სოფელ რარბესთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1000.

სოფელი ჰანჯაბური ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 14500, წილი 4000.

ჯამი 9000.

ხსენებული გარდაიცვალა. მისი ზიამეთის 1350 ახჩა წილია, რომელიც მუსტაფას ებოძა. დაიწერა 13 საფარს, წელი 1012[104]. ალი ჩაუშის შვილმა აბდულბაკი ჩაუშმა თავისი ბერათი წარადგინა. ამაზე მამამისს უარი ეთქვა. 1007 წლიდან[105] პატიოსანი ბერათი გაიგზავნა. იგი რეგისტრირებულ იქნა.

ხსენებულმა აბდულბაკი ჩაუშმა ბერათი გასცა. კეთილსინდისიერად მის ზიამეთს 21000 ახჩა ხელთ ჰქონდა. ამაზე მეჰმედს უარი ეთქვა. ეს რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა რები ულ ეველის შუა რიცხვებში, წელი 1015[106].

ხსენებული თიმარის 6000 ახჩა აბდულბაკი ჩაუშს კეთილგანწყობით ჰქონდა. მასზე ჰუსეინს უარი ეთქვა. ამასთანავე დიდებული ბერათი წარდგენილ და რეგისტრირებულია. შაბანის დასაწყისში, წელი 1021[107].

ხსენებულმა ჰუსეინმა ბერათი წარადგინა, იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 15 რები ულ ეველს, წელი 1025[108].

ხსენებულ მეჰმედს აღნიშნულ 21000 ახჩა ზიამეთზე, მოხუცებულობის გამო უარი ეთქვა. თუ უბოძებდა პატიოსანი ბერათი გაიგზავნებოდა. ეს რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა რვა ზილ ჰიჯეს, წელი 1020[109]. დაიწერა აგრეთვე 28 ჯემაზი ულ ახირს, წელი 1028[110]. ხსენებული თიმარის 6000 ახჩა ჰუსეინს ბერათით ებოძა. დაიწერა 28 რები ულ ახირს, წელი 1028[111].

უმაღლესი სამეუფეო კარის ჩაუშთაგან ალი ჩაუშის ზიამეთიდან.

სოფელი ზემო თუხრეთი ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან, ქვედა თუხრეთთან, ექვემდებარება კუზის, ჯამი 10000.

სოფელი ოხურხალი ახლოსაა დასახლებულ პუქტთან — მონასტერთან და დარიეთუბანთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 10000.

სოფელი სათულისი, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 26900, წილი 6000.

სოფელი ნოქია ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 5000, წილი 1000.

სოფელი ოხურხალი ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან სირათუბანთან, ვია მუჯარედთან, მონასტერთან, დიბურგალთან, ზულულასთან, რაბუბანთან, თავსუბანთან ექვემდებარება ჩრდილს, ჯამი 10000.

პატიოსანი ბრძანების თანახმად ჩასწორებულ იქნა. დაიწერა დიდებული მუჰარემის შუა რიცხვებში, წელი 1007[112].

ჯამი 27000.

შეეწიოს უმაღლესობა.

ჩრდილის ნაჰიე ჩილდირის ლივაში

ჩაუშ ალის ზიამეთიდან უმაღლესი სამეუფეო კარის ჩაუშების თაობაზე.

სოფელი ზემო თოხრა ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან — ქვედა თოხრასთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 10000.

სოფელი ოხურხალი ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან მონასტერთან, დარიებანთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 10000.

სოფელი სახდულისი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 26900, წილი 6000.

სოფელი ბუკა ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 5000, წილი 1000.

ჯამი 28000.

სოფელი ოხურხალი ახლოსაა დასახლებულ პუნქტებთან — ბენსინთუბანთან, შამიჰირთან, მონასტერთან, ბოლუგალთან, რელულასთან, ათუბან ბელინთან და თავთუბანთან. ექვემდებარება ჩრდილს, ჯამი 10000, მთავარი ისაა, რომ ყველაფერი ცხადია.

სოფელი ოხურხალი ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან — მონასტერთან სუბჰალთან, სურჰალასთან და ათუბანთან, ჯამი 10000.

აღნიშნული ბერათი არსებული წესის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა იჯმალში, რადგანაც ჩაწერილ იქნა ნაკლულად. ამჯერად ბერათის თანახმად ჩასწორდეს. ამაზე ფირმანი გამოვიდა. პატიოსანი ჰუქმი გაიცა და ამ ბრძანების თანახმად იქნა რეგისტრირებული. ხსენებული ლივის განახლებული იჯმალ დაჟორის ასლი გაიგზავნა. ჰამზას მფარველობა უზრუნველყოფილია. დაიწერა მუჰარემის შუა რიცხვებში, წელი 1007.

ხსენებული წილის სხვაობა, მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ იუსუფს უწყალობა. დაიწერა 15 ზილ კაადეს, წელი 1007[113]. ხსენებული ანდრის სახელწოდების სოფელში 4000 ახჩა წილიდან ჰუსეინს არ მიეცა. პატიოსანი ბერათის გაცემით იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 15 რები ულ ახირს, წელი 1009[114], ამ წელს მთელი სოფლის 8500 ახჩა თიმარი მურადის ალიბეგის მამულის ცვლილებების გამო იუსუფს ებოძა. დიდებული ბერათი გაიგზავნა და რეგისტრირებულ იქნა რები ულ ეველის მიწურულს,

წელი 1020[115]. ხსენებულ იუსუფს თავისი ხანდაზმულობით იგი აღნიშნულ მუსტაფას არ მიეცა. რადგანაც პატიოსანი ბერათი გაიგზავნა, იგი რეგისტრირებულ იქნა, დაიწერა 28 რები ულ ახირს, წელი 1029[116].

დიდი არტაანის მირალაის კურდის ზიამეთიდან

სოფელი ზემო ბარიმე ახლოსაა სათესველ მისუბილთან, ექვემდებარება უდეს, ჯამი 8500.

სოფელი ხუსუბანი ესაზღვრება აბლუთუბანს, ექვემდებარება ქობლიანს, ჯამი 8000, წილი 4000.

ხოსრუბანა სახელია სოფლისა. 2000 ახჩა დავთარში ვინმეზე არაა მიწერილი. იგი დივანის ჩაუშთაგან აჰმედ ჩაუშს ებოძა. დაიწერა შაბანის შუა რიცხვებში, წელი 1000[117].

რაც შეეხება ხსენებულ მუსტაფას იგი ლაშქრობაში არ გამოცხადდა, რადგანაც იგი ომერს ებოძა, ამაზე პატიოსანი ბერათი გაიცა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 20 რამაზანს, წელი 1028[118].

ჯამი 12500.

ჰუსეინის ზიამეთიდან

სოფელი ღურანი ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან, მეორე ღურანი ექვემდებარება უდეს, ჯამი 4050.

სოფელი ხანჯანური ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 14500, წილი 4000.

ჯამი 8050

მუსტაფას ზიამეთიდან

სოფელი დანჯე ექვემდებარება აწყურს, ჯამი 9000, წილი 5000.

ხსენებულ თიმარზე პატრონის გარეშე ვინმე ჰუსეინს უარი ეთქვა. პატიოსანი ბერათი გაიგზავნა, იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 25 რები ულ ახირს, წელი 1009[119].

ზიამეთი მეჰმედ კურდ ალა ბეგის ძისა

სოფელი დიდი ანიე ახლოსაა მცირე ანიესთან, ახლოსაა დასახლებულ პუნქტთანაც, ექვემდებარება ქობლიანს, ჯამი 8000.

ხსენებული გარდაიცვალა. მისი თიმარი მის შვილს ხუსრევს ებოძა. დიდებული ბერათი წარდგენილ და რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა ზილ კაადეს მიწურულს წელი 1002[120]. ხსენებული ხოსროს თიმარის 7600 ახჩაზე ვინმე ოსმანს მოხუცებულობის გამო უარი ეთქვა. დაიწერა 20 ჯემაზი ულ ეველს, წელი 1007[121]. ხსენებული თიმარის წილი 3000 ახჩა სულეიმან ალის ბერათით ებოძა. დაიწერა საფარის მიწურულს, წელი 1012[122].

ხსენებული თიმარიდან 6600 ახჩას წილზე ფოცხოვის ზიამეთიდან ვინმე მუსტაფას უარი ეთქვა. თიმარი გაიცა და რეგისტრირებულ იქნა, დაიწერა შაბანის დასაწყისში, წელი 1018[123].

ზიამეთი კასიმისა

სოფელი დიდი და საშუალო არალი, ექვემდებარებე ჩრდილს, ჯამი 6600.

სოფელი ზემო პატარა არალი, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 8300, წილი 2000. მამული კულაუს კასიმის მფლობელობაში, სოფელი აზასიპი ექვემდებარება ხსენებულს — არსებული თიმარის მიხედვით. ჯამი 2000. წილი 1000.

ჯამი 9600.

ქემალ ქათიბის ზიამეთიდან

სოფელი საქურქა ექვემდებარება აწყურს, ჯამი 7350.

სოფელი ჯუდსირბანი მდებარეობს ასთავურისთან, ახლოსაა ბანთან, ექვემდებარება ქობლიანს, ჯამი 8000, წილი 2000.

სოფელი გურმია ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

ჯამი 12350

იუსუფ ქათიბის ზიამეთიდან სამეუფეო დივანის შაგირდანი[124].

სოფელი სურაბადი ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან — რივბანთან, მეორე სახელი დემური, ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 3000.

თანახმად პატიოსანი ცვლილებებისა, დაიწერა შაბანის მიწურულს, წელი 1001[125].

ბეჟანის ზიამეთი

სოფელი ზირდანა ექვემდებარება აწყურს, ჯამი 14000.

ხსენებული გარდაიცვალა. მისი თიმარის წილი 1500 ახჩას

სახით აჰმედ ბეგის შვილს ნასუჰს პატიოსანი ბერათით გაეგზავნა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა რები ულ ეველის დასაწყისში, წელი 1004[126].

ხსენებული თიმარი 400 ახჩათი მეჰმედის სახელწოდების პირს პატიოსანი ბერათით გაეგზავნა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 25 ჯემაზი ულ ახირს, წელი 1008[127].

ხსენებული მეჰმედის წილი აღნიშნულ მუსტაფას არ მიეცა. 1009 რიცხვში[128].

პატიოსანი ბერათი გაიგზავნა და რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა რეჯების მიწურულს, წელი 1022[129]. განახლებული ბერათი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 28 ჯემაზი ულ ახირს, წელი 1028[130].

ამასწინათ იგი მეჰმედს ებოძა. ხსენებულმა მეჰმედმაც მოხუცებულობით ვინმე დურაჭს უარი უთხრა. პატიოსანი ბერათი გაიცა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 25 ზილ ჰიჯეს, წელი 1017[131].

<u>ზიამეთი მეჰმედისა</u>

სოფელი ირა, ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 18500, წილი 1500.

სოფელი გუნჯკა, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 7000.
ჯამი 17500.

ხსენებულმა მაჰმუდმა სხვა სარწმუნოება მიიღო. მისი თიმარი ცარიელიაო ითქვა. ყარამანმა დედაქალაქში პატიოსანი ბრძანება გააგზავნა. თუ ხსენებული თიმარი ცარიელია, თანახმად მაღალი ბრძანებისა მას ებოძა, რეგისტრირებულ იქნა. ზილ ჰიჯეს დასაწყისი, წელი 1000[132].

ხსენებული თიმარის 2000 ახჩა ვინმე რეჯებმა აიღო. შემდეგ ცხონებულს უარი ეთქვა. ხსენებულმა ჰიმმეთმა სამეუფეო ბერათი წარმოადგინა. იგი რეგისტრირებულ იქნა და დაიწერა ზილ კაადეს შუა რიცხვებში, წელი 1030[133].

<u>მეჰმედის ზიამეთიდან</u>

სოფელი ამჰა ახლოსაა დასახლებულ პუნქტ – ავნილთან, ექვემდებარება უდეს, ჯამი 8000, წილი 2000.

სოფელი დადალუ, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 7500. ჯამი 9500.

აჰმედის ზიამეთიდან

სოფელი ქვაჯვარი, ექვემდებარება უდეს, ჯამი 3000.

ხსენებულ 21999 ახჩიან ზიამეთზე იაკუბს უარი ეთქვა, დაიწერა ჯემაზი ულ ეველის დასაწყისში, წელი 1109[134].

ხსენებულმა იაკუბმა თავისი ასაკის მოწმობით ბერათი წარადგინა. იბრაჰიმს მასზე უარი ეთქვა, იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა კურთხეული რამაზანის დასაწყისში, წელი 1018[135].

ხსენებულმა იბრაჰიმმა მაღალი ბერათი წარადგინა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა ხსენებულ რიცხვში.

პატიოსანი ბრძანების თანახმად 3000 ახჩიანი ჩასწორებულ იქნა. დაიწერა 15 ჯემაზი ულ ახირს, წელი 1001[136].

ზიამეთი ხსენებული საკასი და დურდურისა იბრაჰიმის მფლობელობიდან ცვლილებებით ომერს ებოძა. რადგანაც პატიოსანი ბერათი წარმოადგინა, იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 13 რები ულ ეველს, წელი 1031[137].

ზიამეთი იუსუფ აჰმედის ძისა

სოფელი ზემო და ქვემო ჭომა ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან, ექვემდებარება მზვარეს, ჯამი 5500.

სოფელი სახვალიე ახლოსაა ჩაირ ამღალიანთან, მუსალთან, ალავადართან და დისვალასთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 500.

სოფელი გოლა ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000-6000, წილი 3000.

სოფელი ოსირე, ექვემდებარება უდეს, ჯამი 4000, წილი 2000.

მაღალი ბრძანების თანახმად ჩასწორებულ იქნა.

ხსენებული სოფლიდან 2000 ახჩა წილი თიმარისა, ამ უწყებისათვის უცნობი იბრაჰიმის გარდაქმნილი დოკუმენტით აიუბს ებოძა და ბერათი გაიგზავნა. იგი რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 23 შაბანს, წელი 1028[138].

ჯამი 1100.

სოფელი ხერთვისი ექვემდებარება უდეს. ჯამი 4000. წილი 2000.

ხსენებულმა იუსუფმა აღნიშნულ სოფელზე კია ჩაუშს უარი უთხრა. რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა რები ულ ეველის დასაწყისში, წელი 1002[139]. სხვა სოფლებსაც უარი ეთქვა.

სოფელი გეჩვანი ექვემდებარება უდეს, ჯამი 9000. წილი 3000.

სოფელი გუნთუბანი ახლოსაა სოფელ მოხისთან, ექვემდებარება უდეს, ჯამი 2000.

სოფელი გუმაქუბანი მდებარეობს ზემო სოფელ ჯემავსურდუსთან, ექვემდებარება მზვარეს. ახალციხის დავთრის ხარჯის გამორიცხვით, ჯამი 2000.

ჯამი 20000.

ხსენებულმა ფერჰადმა აღნიშნული წილის 5000 ახჩაზე ბისაღიარის მფლობელ ვინმე ჰიმმეთს უარი ეთქვა. დაიწერა ზილ კაადეს შუა რიცხვებში. წელი 1003[140]. ხსენებულმა ფერჰადმა 9770 ახჩა თიმარზე, რომელიც მის ხელთ იყო პატიოსანი ბრძანებით სულეიმანს უარი უთხრა. იგი გაცემულ იქნა. დაიწერა ჯემაზი ულ ახირის დასაწყისში, წელი 1006[141]. ხსენებულ იბრაჰიმს უარი ეთქვა. ხსენებულ იბრაჰიმსაც მეორე იბრაჰიმის მსგავსად უარი ეთქვა. ეს რეგისტრირებულ იქნა. დაიწერა 5 ზილ ჰიჯეს, წელი 1018[142].

ზიამეთი ფერჰადისა

სოფელი დერარი ახლოსაა სოფელ დიდდუმთუბანთან, ექვემდებარება უდეს, ჯამი 3000.

სოფელი გორგა ნესლაია, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 6770.

სოფელი ადადებე ახლოსაა ხარბაქის დასახლებასთან, ასევე ახლოსაა სოფელ უდესთან, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5000.

საერთო ჯამი 14770.

მზვარეს ნაჰიე ახალციხის ლივაში

თიმარი მუსტაფასი

სოფელი აგრაბარდი ალბადნო ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 6000.

სოფელი დურნისი ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 13000, წილი 1000

ჯამი 7000.

ხსენებულმა თავისი ხანდაზმულობის ბერათი წარადგინა. თიმარი ახალქალაქის სანჯაყში, სოფელ ქიბალეთში დიათმარდინის ტერიტორიაზე არსებული იუსუფს ებოძა. დაიწერა დიდებული საფარის შუა რიცხვებში, წელი 1002[143]. ხსენებულმა იუსუფმა თავის თიმარზე მუზაფერს უარი უთხრა. მანაც მისი ხელთ არსებული პატიოსანი ბრძანებით მუსტაფასაც უარი უთხრა. იგი გაიცა. დაიწერა რები ულ ეველის დასაწყისში, წელი 1006[144].

ხსენებულ მუსტაფას თიმარზე გაცვლის წესითაც დურ ალი ჩაუშსაც უარი ეთქვა. იგი გაიცა და დაიწერა რევჯების დასაწყისში, წელი 1007[145].

